გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

№9 (1599) 9 — 15 მარტი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

რუსეთის მოქალაქეების საქართველოში მასობრივ შემოსვლას კრიმინალის ზრდა მოჰყვება

რატომ გაძვირდა სახლები ქვემო ქართლში და რას ჰყვება აფხაზეთში „მოღვაწე" ქართველი კრიმინალი

რუსეთში ერთ მოქალაქეზე ერთ კილოგრამზე მეტ წიწიბურას აღარ ჰყიდიან — აშშ-სა და ევროკავშირის ფინანსური სანქციების უმძიმესი შედეგი



სოსო გალუმაშვილი: „რუსეთი დეფოლტისკენ მიექანება!"

კარგად დაგეგმილი რუსული პროვოკაცია — ქართული რძისა და რძის პროდუქტების ექსპორტი რუსეთის ბაზარზე?!

ანა მიქაძე-ჩიკვაიძე: „როდესაც ჯოჯოხეთური ომია უკრაინაში, რძე კი არა, ზედმეტი შავი ქვა რომ მქონდეს, რუსეთის ბაზარზე იმასაც არ გავიტან!"

გენრი დოლიძე: „თინა კანდელაკი პროპაგანდისტული მანქანის ბოროტი ინსტრუმენტია!"

უნდა გავმიჯნოთ თუ არა ერთმანეთისგან რუსული პოლიტიკა და კულტურა

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

პროკურორი: „ბრალდებულმა გარკვევით თქვა, ნიკოლოზ კვარაცხელიას მკვლელობას რომ შესწრებოდა, თუნდაც სხვა პირის მიერ, არც იმ შემთხვევაში განაცხადებდა პოლიციაში“

ეს განცხადება ნიკოლოზ კვარაცხელიას მკვლელობის საქმის პროკურორს, გია შაიშმელაშვილს ეკუთვნის. სასამართლო პროცესზე, ერთ-ერთი ბრალდებულის, გიორგი კავილაძის დაკითხვა უკვე დასრულდა. პროკურორის თქმით, მან სასამართლოს არასწორი ინფორმაცია მიაწოდა:

„დღევანდელ სასამართლო პროცესზე კვლავ გაგრძელდა სიცრუის ტირაჟირება, რასაც ბრალდებული ახდენდა. შესაბამისად, მან სასამართლოს არასწორი ინფორმაცია მიაწოდა კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით – მხოლოდ ის დაადასტურა, რომ შეესწრო მკვლელობის ფაქტს და მასთან რაიმე ფორმით კავშირი უარყო.

ბრალდებულმა გარკვევით თქვა, ის რომ შესწრებოდა ნიკოლოზ კვარაცხელიას მკვლელობას, თუნდაც სხვა პირის მიერ, ის არც იმ შემთხვევაში განაცხადებდა პოლიციაში და არ ითანამშრომლებდა გამოძიებასთან. ეს მეტყველებს ბრალდებულის მენტალურ დამოკიდებულებაზე, თუნდაც კონკრეტულ ფაქტთან – ახალგაზრდა ბიჭის მკვლელობასთან დაკავშირებით“, – განაცხადა შაიშმელაშვილმა.

რაც შეეხება მკვლელობის მოტივს, როგორც პროკურორი აღნიშნავს, ამისთვის მეორე ბრალდებულის ჩვენებასაც უნდა დაველოდოთ.

სოფელ ჩალაუბანში, ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი ადამიანი ემსხვერპლა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბანში, ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი ადამიანი ემსხვერპლა. ადგილობრივების ინფორმაციით, ერთმანეთს ორი ავტომობილი და მიკროავტობუსი შეეჯახა.

შეჯახების შედეგად, სხეულის დაზიანება მიიღო მიკროავტობუსის ოთხმა მგზავრმა, აქედან სამი დაშავებული სასწრაფო დახმარების ჯგუფმა გურჯაანის „ჯეო– ჰოსპიტალსის“ კლინიკაში, მრავლობითი მოტეხილობით მოათავსეს, ერთი კი გარდაიცვალა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა, კოკა კაციტაძემ თანამშრომლებს მოადგილეები წარუდგინა

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა, კოკა კაციტაძემ მოადგილეების პოზიციაზე გიორგი კვარაცხელია და ნათია სონღულაშვილი წარადგინა.

როგორც კოკა კაციტაძემ აღნიშნა, ორივე მოადგილეს საგამოძიებო და საპროკურორო მიმართულებით, მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

„სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს კიდევ ორი პროფესიონალი შემოუერთდა. დღეს, თანამშრომლებს, მოადგილეების პოზიციაზე გიორგი კვარაცხელია და ნათია სონღულაშვილი წარვუდგინე. ორივე მათგანს საგამოძიებო და საპროკურორო მიმართულებით, მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

შეხვედრაზე ვისაუბრეთ არსებული სტრატეგიული გეგმის შესრულებასა და სამსახურის განვითარების ხედვის შემუშავებაზე. გამოვთქვით დიდი სურვილი და მზაობა თანამშრომლების აქტიურ ჩართულობასთან დაკავშირებით განსახორციელებელი რეფორმების პროცესში“, – განაცხადა კაციტაძემ.

ჟურნალისტების მიმართ ფიზიკურ ძალადობაში ბრალდებულების საქმეზე პროკურატურამ მტკიცებულებების გამოკვლევა დაასრულა

ჟურნალისტების მიმართ, 5 ივლისს განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაში ბრალდებულების საქმეზე, სახელმწიფო ბრალდებამ მტკიცებულებების გამოკვლევა დაასრულა. სასამართლო პროცესზე კი ნივთიერი მტკიცებულებები გამოიკვლიეს. ამასთან, ბრალდებულებმა სხდომაზე ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადეს და შესაძლოა, მათი ჩვენებები, როგორც დაცვის მხარის მტკიცებულებები, ისე გამოიკვლიონ.

„ნივთიერი მტკიცებულება – ზაზა ჭაავას მოპედი წარვადგინეთ, რომლითაც მან ძალადობრივი ქმედება განახორციელა „რუსთავი2“-ის ჟურნალისტზე, თამარ თათარაშვილზე და მას ხელი შეუშალა სამსახურებრივი მოვალეობის სრულფასოვნად შესრულებაში. გარდა ამისა, ერთ-ერთი ვიდეოჩანაწერი გამოვიკვლიეთ, რომელიც გამოთხოვილია კლასიკური გიმნაზიიდან, აღნიშნულ ჩანაწერებში დაფიქსირებულია ორი ბრალდებული. ასევე, გამოვიკვლიეთ „ფორმულადან“ გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერი, სადაც დაფიქსირებულია ფოტოგრაფზე განხორციელებული ძალადობრივი ქედება. აღნიშნულს ადასტურებს არა ბრალდებულების ვიზუალური აღწერილობა, არამედ, მათი ტანსაცმელი. ერთ მომენტში, ისინი ტანსაცმელს იცვლიან, რათა მათი იდენტიფიცირება არ მომხდარიყო“, – განაცხადა პროკურორმა გრიგოლ ნიშნიანიძემ.

ცნობისთვის, რუსთაველის გამზირზე, მედიასაშუალებების წარმომადგენელთა მიმართ განხორციელებული ძალადობრივ ქმედებებსა და პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტებზე, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლა) და 126-ე (ძალადობა) მუხლებით მიმდინარეობს. ერთ-ერთ ეპიზოდზე, რომელშიც 27 ბრალდებულია, 53 დაზარალებული ფიქსირდება, ხოლო საერთო ჯამში, საქმეს 31 ბრალდებული და 57 დაზარალებული ჰყავს.

ადვოკატი: „თავდაცვის სამინისტრო ბაჩო ახალაიასგან 60 000 ლარის ოდენობის სამოქალაქო ზიანის ანაზღაურებას ითხოვს“

ადვოკატ მალხაზ ველიჯანაშვილის განცხადებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ამ უწყების ყოფილი მინისტრისგან, ბაჩო ახალაიასგან, ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე, 60 000 ლარის ოდენობის სამოქალაქო ზიანის ანაზღაურებას ითხოვს. როგორც ადვოკატმა ჟურნალისტებს განუცხადა, რა საქმიდან ითხოვს სამინისტრო ყოფილი ხელმძღვანელისგან ზიანის თანხით ანაზღაურებას, ეს საიდუმლოა.

„ახლა, სისხლის სამართლის არცერთ საქმეზე, სასამართლოში განხილვა არ მიმდინარეობს, ბრალი წარდგენილი არ აქვს. რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს, ეს არის სამოქალაქო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ეს არ არის სისხლის სამართლის საქმე. საუბარია იმაზე, რომ ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე. საქმე გასაიდუმლოებულია, მაგრამ თანხა ბრალშიც იყო აღწერილი, საუბარია 60 000 ლარზე. თუ რა იყო და როგორ იყო, ეს არის საიდუმლო ნაწილი და საჯაროდ ვერ ვისაუბრებ“, – აცხადებს ველიჯანაშვილი.

ამასთან, ველიჯანაშვილის თქმითვე, მიუხედავად იმისა, რომ ბაჩო ახალაია არაერთ საქმესა და ეპიზოდში გამართლდა, მის წინააღმდეგ საქმეების აღძვრა არ წყდებოდა.

„ხელისუფლების მიზანი იყო, რომ ის პატიმრობაში დაეტოვებინათ. საბოლოოდ ამასაც მიაღწიეს და მის უკანონო პატიმრობასაც, უკანონო განაჩენსაც და 9 წელი და 4 თვე, ტყვეობაში იმყოფებოდა იმის მიუხედავად, რომ 9 წელი ჰქონდა მისჯილი, საიდანაც უკვე გათავისუფლდა. ჩვენ სამართლებრივად ვდაობთ ევროსასამართლოში და ჯერ კიდევ, 2012 წელს შეფარდებული პატიმრობა გვაქვს გასაჩივრებული, რაზეც სასამართლოსთან კომუნიკაცია იყო და დარჩენილია განაჩენის გამოცხადება. როგორც ჩემთვისაა ცნობილი, ეს შეაფერხა სასამართლოში ჩვენი ახალი მოსამართლის დანიშვნამ, დრო იყო საჭირო და საქმე ამის გამო გაჭიანურდა“, – აცხადებს ველიჯანაშვილი.

ბენ ლადენიდან პუტინამდე

ნინო დოლიძე

ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინ, როცა მისი არსებობის შესახებ მთელმა მსოფლიომ გაიგო, ვერავინ ან თითქმის ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მოვიდოდა დრო და, პრაქტიკულად, დედამიწის ნომერ პირველ ტერორისტად იქცეოდა. ახლა, შეიძლება, ვინმეს გადაჭარბებულ შეფასებად მოეჩვენოს, მაგრამ დღეს, ვლადიმერ პუტინი დედამიწისთვის უფრო საშიშია, ვიდრე თავის დროზე, ბენ ლადენი იყო. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ბოლო დროს ანუ მას შემდეგ, რაც უკრაინას თავს დაესხა, პუტინს „სისხლიან მანიაკს“, „სერიულ მკვლელსა“ და „ტერორისტს“ ეძახიან. სხვათა შორის, ჩვენ, ქართველებმა, ათ წელზე მეტია ვიცით, რომ ვლადიმერის ძე მანიაკია – ის, რასაც ახლა უკრაინაში აკეთებს, კრემლის დიქტატორმა, 2008 წლის აგვისტოში, ჩვენთან გააკეთა, მაგრამ მაშინ მსოფლიომ ნაწილობრივ დაიჯერა, რომ პუტინი ურჩხულია. დღეს? – დღეს, რუსეთის ლიდერი „კეთროვანია“ და შესაბამისად, ყველა, ვისაც კი შეუძლია, მას სანქციებს უწესებს.
ისე, სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენ 2008-ში, საინფორმაციო ომიც წავაგეთ, ახლა კი საინფორმაციო ომი კრემლს აქვს წაგებული. პარალელურად, ცნობილია, რომ რუსეთმა, უკრაინის დასაპყრობად დაწყებულ ომში, უკვე 11 ათასი სამხედრო და უამრავი სამხედრო ტექნიკა დაკარგა. ერთი სიტყვით, ეს ის შემთხვევაა, როცა რუსეთი ორთავიანი არწივის კი არა, დამფრთხალი ქათმის როლში გამოდის, თუმცა პუტინს თავში რა მოუვა, ჯერ კიდევ არავინ იცის.

ვლდიმერ ვლადიმერის ძე, როგორც ყველა ფსიქოპათი, არაპროგნოზირებადია და ეს იმთავითვე გამოჩნდა, როგორც კი ელცინმა საკუთარ მემკვიდრედ დაასახელა. რატომ დატოვა ბორისმა ვლადიმერი მემკვიდრედ? – ამ კითხვაზე დასაბუთებული პასუხი არ არსებობს, მაგრამ შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ამ გადაწყვეტილების ერთადერთი მიზეზი საბჭოთა კავშირის დიდების აღდგენა იყო. აკი, პუტინმა რამდენიმე წლის წინ დანანებით აღნიშნა, სსრკ-ს დაშლა დიდი გეოპოლიტიკური შეცდომა იყოო.

სხვათა შორის, იმას, რაც დღეს უკრაინაში ხდება, ზოგი ექსპერტი საბჭოეთის აღდგენის მცდელობად მიიჩნევს, რაც უტოპიური მოსაზრება ნამდვილად არ არის. რუსეთის სისხლისმსმელმა მმართველმა ეს სცენარი, პირველად, ჯერ კიდევ 90-იანი წლების ბოლოს გაითამაშა ანუ მხედველობაში ე.წ. ჩეჩნეთის მეორე ომი გვაქვს. მართალია, ეს ომი 1999 წლის ზაფხულში დაიწყო, პუტინმა კი ელცინი 1999 წლის 31 დეკემბერს შეცვალა, მაგრამ ომის დაწყებისას, ის რუსეთის ხელისუფლების მდივნის პოსტს იკავებდა.

სიტყვამ მოიტანა და ვიდრე პუტინის ვანდალიზმის მოკლე ქრონოლოგიას გადავავლებთ თვალს, მის ოფიციალურ ბიოგრაფიას შემოგთავაზებთ:

„ვლადიმერ პუტინი 1952 წლის 7 ოქტომბერს, ლენინგრადში დაიბადა. სხვადასხვა წყაროს ცნობით, პუტინის დედა, ვერა პუტინა საქართველოში, კერძოდ, კასპში ცხოვრობდა. თავის დროზე, ამ თემაზე ბევრი იწერებოდა, თუმცა დღემდე დანამდვილებით არავინ იცის, კასპელი ვერა მართლა პუტინის დედა იყო თუ არა.

„1999-2000 და 2008-2012 წლებში, რუსეთის მთავრობის მდივანი, 1998-1999 წლებში – უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორი იყო, ხოლო 1999 წელს, რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტს იკავებდა. ქვეყნის პირველი პირი გახდა 1999 წლის 31 დეკემბერს, როდესაც პრეზიდენტი ბორის ელცინი დროზე ადრე გადადგა. პირველად პრეზიდენტად აირჩიეს 2000 წლის 26 მარტს, მეორედ – 2004 წელს, მესამედ – 2012 წელს, მეოთხედ კი – 2018 წელს.

1975 წელს, ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. 1977 წლიდან, ლენინგრადის სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის კონტრდაზვერვაში მუშაობდა, 1985-1990 წლებში – სსრკ-ს საგარეო დაზვერვის რეზიდენტურაში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ დრეზდენშიც მუშაობდა, როგორც სსრკ-გდრ-ის მეგობრობის სახლის დირექტორი.

1990 წლის ივნისში, ლენინგრადში დაბრუნდა, სადაც ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორის თანაშემწე გახდა საერთაშორისო საკითხებში. იმავე წელს, პოლიტიკური კარიერა დაიწყო ლენინგრადის საქალაქო კავშირის თავმჯდომარის, ანატოლი სობჩაკის ხელმძღვანელობით. 1991 წლის ივნისში, ანატოლი სობჩაკის სანკტ-პეტერბურგის მერად არჩევის შემდეგ, პუტინი გახდა მერიის კომიტეტის თავმჯდომარე საგარეო საკითხებში. 1991 წლის 20 აგვისტოს, პოდპოლკოვნიკის რანგით განთავისუფლდა სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიდან. 1996 წელს, მუშაობა დაიწყო მოსკოვში, როგორც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის საქმეთა მმართველის მოადგილემ. 1999 წლის აგვისტოში, რუსეთის ხელისუფლების მდივნად დაინიშნა“, – წერია „ვიკიპედიაში“.

რაც შეეხება ჩეჩნეთის მეორე ომს, აქ პუტინმა მთელი თავისი მრისხანება გამოავლინა და მანამ არ გაჩერდა, სანამ ჩეჩნეთი არ დაიპყრო ანუ ჩეჩნეთის ე.წ. მეორე ომი ზუსტად ათ წელს (1999-2009) გრძელდებოდა და თუ ახლა ამბობს, რომ უკრაინას ნეონაცისტებისგან წმენდს, მაშინ პუტინი ამბობდა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა.

ჩეჩნეთის მეორე ომი ასე დაიწყო: 1999 წლის 7 აგვისტოს, რუსეთის მიერ კონტროლირებად დაღესტნის ნაწილში, ჩეჩენი პარტიზანული ძალები შევიდნენ. ნახევრად დამოუკიდებელი ჩეჩნეთისა და რუსეთის დაღესტნის რესპუბლიკის სასაზღვრო ტერიტორიაზე, რამდენიმეთვიანი შეტაკებისა და დაძაბულობის შედეგად, მეამბოხეებმა კონტროლი მოიპოვეს რამდენიმე სოფელზე და დაუპირისპირდნენ რუსულ ჯარს. დაახლოებით, 2000 თვითგამოცხადებული ისლამისტი მეამბოხე ებრძოდა რუსული ჯარის მზარდ რაოდენობას. რუსეთის მთავრობამ გააძლიერა რეგიონში მყოფი 17 000 სამხედრო და აჯანყებულებზე საჰაერო თავდასხმა განახორციელა. ადგილობრივმა მოსახლეობამ მეამბოხეებს მხარი არ დაუჭირა, რამაც რუსეთს მათი დაღესტნიდან გაძევებისა და ჩეჩნეთში დაბრუნების სტიმული მისცა. დაღესტნიდან გაძევების შემდეგ, რუსული სამხედრო შენაერთები აჯანყებულებს ჩეჩნეთის ტერიტორიაზეც სდევნიდნენ, რათა სეპარატისტული რესპუბლიკის არსებობისთვის ბოლო მოეღოთ. სასურველი მიზნის მისაღწევად, რუსულმა მხარემ სასტიკი იერიში მიიტანა ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოზე.

1999 წლის 5 ოქტომბერს, რუსებმა ჩეჩნეთზე სახმელეთო შეტევა განახორციელეს, თუმცა მალევე გააცნობიერეს, რომ ჩეჩენ მეამბოხეებთან მძიმე ბრძოლაში ჩაერთნენ, რომლის უდიდესი ნაწილიც მთიან ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. დეკემბრის დასაწყისში, რუსებმა გროზნოზე მიიტანეს იერიში, რაც სრულიად განსხვავდებოდა 1994-1995 წლების ბრძოლისგან. 2000 წლის 10 იანვარს, ჩეჩნებმა კონტრშეტევა დაიწყეს გროზნოს მხარდასაჭერად. ამ თავდასხმისას, ჩეჩნებმა 26 რუსი სამხედრო მოკლეს, რაც მთელი ომის მსვლელობისას, დღიური გარდაცვალების ყველაზე დიდი მაჩვენებელი იყო. აღნიშნულ ქმედებას რუსებმა ათასობით სამხედროს გამოგზავნით უპასუხეს, რის შედეგადაც, გროზნო კვლავ მათ კონტროლქვეშ გადავიდა.

2003 წელს, გაერომ გროზნოს „პლანეტის ყველაზე განადგურებული ქალაქის“ სტატუსი მიანიჭა.

გროზნოზე რუსეთის დროშის აღმართვას ჩეჩნეთის რესპუბლიკის დაშლა მოჰყვა, ანუ დამოუკიდებელი იჩქერია ისევ რუსეთს დაექვემდებარა, თუმცა ფორმალური გამარჯვება აჯანყების დასრულებას სულაც არ ნიშნავდა. 2000-2009 წლებში, ჩეჩნები აგრძელებდნენ აჯანყების ტალღას. ჩეჩნეთში კონტრშეტევითი ტალღის დასრულების შემდეგ, ჩეჩენმა ტერორისტებმა თავდასხმითი ქმედებების განხორციელება რუსეთის ტერიტორიაზე განაგრძეს, საიდანაც ყველაზე მნიშვნელოვანი ბესლანის ტრაგედია და დუბროვკას თეატრის მძევლების კრიზისი იყო.

საერთოდ, ბესლანის ტრაგედიის დროს, პუტინმა საკუთარი სახე კიდევ უფრო მძაფრად გამოაჩინა – მან უდანაშაულო ბავშვებსაც კი არ გაუწია ანგარიში და სპეცოპერაციის ჩატარების ბრძანება გასცა. ისე, ყველა საომარ მოქმედებას პუტინი სპეცოპერაციას უწოდებს და აკი, ახლა, რუსეთში კანონიც მიიღეს, რომლის თანახმადაც, ყველა, ვინც სიტყვა ომს ახსენებს, 15-წლიანი პატიმრობით დაისჯება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეს კანონი იმის ნათელი დადასტურებაა, რომ პუტინმა რუსეთსა და დანარჩენ ცივილურ მსოფლიოს შორის რკინის ფარდა ჩამოაფარა და ახლა დედამიწას ატომური იარაღით აშანტაჟებს.

ვოვასგან გასაკვირი არ იქნება, თუ ატომურ ბომბს მართლა გამოიყენებს, რადგან ის ხომ ჩვეულებრივი ფსიქოპათი მანიაკია, რომელიც ანგარიშს სხვას კი არა, საკუთარ ერსა და ხალხსაც არ უწევს. დიახ, ის ფსიქოპათი შეშლილია, შეშლილი, რომელსაც მსოფლიო ბატონობა უნდა, მაგრამ ამ მიზანს ვერ მიაღწევს, რადგან ჯერ ერთი, ექსპერტების თქმით, უკრაინის ომი პუტინს დაასამარებს; მეორეც, ცივილურმა ქვეყნებმა რუსეთის პრეზიდენტს ეკონომიკური სანქციები უკვე დაადეს. ეს კი პუტინისთვის უმნიშვნელო არ უნდა იყოს, რადგან იგივე დასავლეთში მას აურაცხელი ქონება აქვს, რასაც არცთუ დიდი ხნის წინ, ე.წ. Pandora Papers-ის სახელით გავრცელებული ოფშორული დოკუმენტებიც მოწმობს.

კერძოდ, ამ საიდუმლო დოკუმენტების თანახმად, რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის ქონების ნაწილი დამალულია მონაკოში ანუ მონაკოში მდებარე, სვეტლანა კრივონოგის აპარტამენტებს კავშირი აქვს იმ კომპანიასთან, რომელსაც გენადი ტიმჩენკო და პეტრე კოლბინი უწევდნენ მომსახურებას – სამივე ეს ადამიანი პუტინის უახლოესი გარემოცვის წევრია.

დოკუმენტების მიხედვითვე, მონაკოში მდებარე ბრწყინვალე, მდიდრული აპარტამენტები, რომლებიც ნავსადგურს გადაჰყურებენ, სვეტლანა კრივონოგს ეკუთვნის, რომელმაც შენობა 2003 წელს, 3.6 მილიონ დოლარად შეიძინა.

სხვათა შორის, არსებობს ცნობა, რომ სვეტლანა კრივონოგი ვლადიმერ პუტინის საყვარელი ქალი და 2003 წელს დაბადებულ გოგონას დედაა. ამის თაობაზე, თავის დროზე დასმულ კითხვებს, პრეზიდენტის პრესმდივანმა, დიმიტრი პესკოვმა არაერთხელ უპასუხა და აცხადებდა, რომ ამ ქალზე არაფერი იცოდა. საერთოდ, პუტინის პირადი ცხოვრება გასაიდუმლოებულია...

რა პრივილეგიებსა და ვალდებულებებს გულისხმობს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი

კონსტიტუციონალისტ ლევან ალაფიშვილის შეფასებები

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„ქართული ოცნების“ გუნდმა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო – წარდგენილია ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის განაცხადი, – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ პარტიის ცენტრალურ ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. განაცხადი საქართველომ დაჩქარებული წესით, 3 მარტს წარადგინა. რას გულისხმობს ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსი ან რა პრივილეგიები და ვალდებულებები ახლავს მას? – „ვერსია“ კონსტიტუციონალისტ ლევან ალაფიშვილს დაუკავშირდა.

– კარგი იქნებოდა, ეს უკრაინასთან ერთად გაეკეთებინათ. რეალურად, დეკლარაციულობის გარდა, ამას სხვა არაფერი მოჰყვება, რადგან უკრაინის განცხადებასთან ერთად არ იქნება განხილული და ეს ამძიმებს ჩვენს მდგომარეობას იმიტომ, რომ ყველა შემთხვევაში, ჩვენს პოლიტიკოსებს, ყელმოღერებით და ამაყად რომ ამბობენ, ჩვენ ვაკეთებთ განაცხადსო, იქ, იცით, რა დახვდებათ?

– რა?

– მაგალითად, ის, თუ როგორ „გადაახიეს“ შარლ მიშელს დოკუმენტი, როგორ თქვეს ჩვენმა პოლიტიკოსებმა, ევროპამ თავის დღის წესრიგს მიხედოსო და ა.შ. შესაბამისად, ამ მოცემულობაში ეს გულუბრყვილო თამაშია, რომ სახე შეინარჩუნოს ამ პოლიტიკურმა გუნდმა.

თავისთავად, განაცხადი უნდა გაკეთებულიყო ადრე, ომის დაწყების პირველივე დღეებში. საქართველო სანქციებზე უნდა გაჩუმებულიყო, მაგრამ ყველაზე დიდი სანქცია, პროტესტი და მხარდაჭერა, სწორედ ევროკავშირის კანდიდატობაზე განაცხადის გაკეთება იქნებოდა.

არის ძალიან ბევრი საშუალება, პრივილეგია, რომლითაც შეიძლება, ისარგებლოს არა მხოლოდ წევრმა, არამედ, კანდიდატმა ქვეყანამაც. ესაა წვდომა მატერიალურ და არამატერიალურ რესურსებზე, სხვადასხვა პროგრამაში ჩართულობაზე და როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება რომ ეუბნება, თქვენს საქმეს მიხედეთო, ევროპის გადასახადის გადამხდელები ასეთ ქვეყანაზე უკრაინისგან ცალკე იმსჯელებენ და მხარს დაუჭერენ კანდიდატობას? – ეს ძალიან უტოპიურად მიმაჩნია.

ომი უკრაინაში – გადაიდება თუ არა საქართველოში შუალედური არჩევნები

ბადრი ჯაფარიძის მოთხოვნა და ცესკო-ს პასუხი

2 აპრილს, საქართველოში, შუალედური არჩევნებია ჩანიშნული. ამომრჩევლები საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარს რუსთავში აირჩევენ, ბათუმში კი – საკრებულოს მაჟორიტარს.

რუსთავის არჩევნებში „ლელოს“ კანდიდატი ბადრი ჯაფარიძეა წარდგენილი, რომელსაც მხარს ოპოზიციის დიდი ნაწილი უჭერს, თუმცა უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო, ჯაფარიძე შუალედური არჩევნების გადადებას ითხოვს და საკუთარ კანდიდატურას არჩევნებიდან ხსნის:

„ამ ვითარებაში, როცა მოსახლეობა, ჩვენი მოქალაქეები უკიდურესად დასტრესილები, დაზაფრულები არიან, საარჩევნო პროცესის წარმოება შეუძლებელია. შესაბამისად, მივიღე გადაწყვეტილება, შევაჩერო ჩემი მონაწილეობა რუსთავის შუალედურ არჩევნებში და მოვუწოდებ ხელისუფლებას, გადადოს 2 აპრილის არჩევნები, რადგან ასეთ საგანგებო მდგომარეობაში, შეუძლებელია ნორმალური საარჩევნო პროცესის წარმართვა“.

* * *

აპირებს თუ არა შუალედური არჩევნების გადადებას ცენტრალური საარჩევნო კომისია? – ცესკო-ს პრესსპიკერი, ნათია იოსელიანი „ვერსისთან“ საუბარისას აცხადებს, რომ არჩევნების გადადების საფუძველი არ არსებობს:

„არჩევნები არ გადაიდება და გათვალისწინებულ ვადაში ჩატარდება. გადადების საფუძველი შეიძლება იყოს საგანგებო მდგომარეობა ქვეყანაში, რაც არ გვაქვს და ღმერთმა დაგვიფაროს, გვქონდეს. მეორე მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ვადაში ვერ ეტეოდე ან ხელს გიშლიდეს, განახორციელო დაგეგმილი ღონისძიებები, თუმცა დამტკიცებულია და მიღებული გვაქვს ღონისძიებათა გრაფიკი და მივყვებით მას. ვინმე თუ მოხსნის კანდიდატურას, არც ესაა არჩევნების გადადების საფუძველი“.

იმ მოცემულობაში, რომ მიმდინარე მოვლენების მიუხედავად, ხელისუფლება არჩევნების გადადებას არ აპირებს, სტრატეგიულად მართებულია თუ არა ბადრი ჯაფარიძის გადაწყვეტილება, სახელისუფლებო კანდიდატს მოუხსნას კანდიდატურა და უპირობო გამარჯვების შანსი გაუნაღდოს? – ამ კითხვით, „ვერსია“ „ლელოს“ დაუკავშირდა, თუმცა პარტიაში ჩვენს კითხვაზე პასუხის გასაცემად ვერ მოიცალეს...

თათია გოჩაძე

თათია გოჩაძე
598-43-50-34

როგორ იქცა პუტინი ურჩხულად

ირაკლი ხვადაგიანი: „მართვის ვერტიკალი იძულებული იქნება, თვითონვე გაანეიტრალოს ადეკვატურობიდან საკმაოდ შორს წასული ლიდერი“

თითქმის ორი კვირაა, უკრაინა რუსეთის მიერ სამხედრო თავდასხმას ღირსეულად უწევს წინააღმდეგობას. ომი რუსეთის მმართველმა „სპეციალური ოპერაციის“ სახელით დაიწყო და მძინარე კიევი მოულოდნელად დაბომბა. დღეს მთელი ცივილიზებული სამყარო ერთიანდება რუსეთის წინააღმდეგ და უკრაინას თანადგომას უცხადებს. დასავლეთი სანქციებს უწესებს პუტინის რეჟიმს, რაც პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ შეზღუდვებს გულისხმობს. რუსეთი დღითიდღე ექცევა დიდ იზოლირებულ წრეში და პოლიტოლოგების, ანალიტიკოსების უმრავლესობა ვარაუდობს, რომ ეს რუსეთის, როგორც დიქტატურული მმართველობის, დასასრულის დასაწყისია. როგორ იქცა 21-ე საუკუნეში ვლადიმერ პუტინი ერთპიროვნულ მმართველად და როგორ ასრულებენ მსგავსი ლიდერები პოლიტიკურ კარიერას? – „ვერსია“ ისტორიკოსსა და საბჭოთა წარსულის მკვლევარ ირაკლი ხვადაგიანს ესაუბრა:

– გააჩნია, პარალელს რა პერიოდთან გავავლებთ. იქიდან გამომდინარე, რომ ამ ტიპის რეჟიმების არსებობა მეოცე საუკუნის მოცემულობაა, არსობრივად, ეს მაინც პირველი მსოფლიო ომის შემდგომი სამყაროს – რადიკალიზმის, პიროვნების კულტის აღზევებისა შედეგია, როცა ვინმე სათავეში აღმოჩნდებოდა და მძლავრი ვერტიკალის, ტოტალიტარული რეჟიმის ჩამოყალიბებას იწყებდა. დაახლოებით, იგივე მოცემულობა გვაქვს პუტინის შემთხვევაშიც. ქართულ ფილმში „მონანიება“, ვარლამ არავიძის პერსონაჟი კრებსითი სახეა რამდენიმე ასეთი დიქტატორისა: სტალინის, ბერიას, ჰიტლერის, მუსოლინის და მხოლოდ გარეგნულად კი არა, მათ არსობრივადაც აერთიანებს. რეალობაშიც ასეა, რადგან ამ სისტემების ლოგიკითა და ფორმით, ყველა ასეთი რეჟიმი ერთმანეთს უახლოვდება ანუ მართვის ინსტრუმენტებით, ვერტიკალის მოქმედების პრინციპით, რეპრესიებით, მუდმივი შიდა წმენდისა და მასობრივი განადგურების, იდეოლოგიის მიხედვითაც გადაკვეთის წერტილებია. ყველა ასეთი რეჟიმი ოფიციალურად აცხადებს, რომ ახალი და უკეთესია, მაგრამ სინამდვილეში, მარტივად მართვადი და მანიპულირებადი მექანიზმის ერთ-ერთი დეტალი ადამიანია.

აქედან გამომდინარე, მთელი ეს გამოცდილება, ადგილობრივი კონტექსტების მინარევებით, ყოველთვის ასე მუშაობს და პუტინს შორს წასვლა არ სჭირდება... 2008 წლის შემთხვევაში, თუ ჩვენ წინააღმდეგ გამოვლენილი აგრესია, ჩვენი ქვეყნის მასშტაბისა და იმდროინდელი საერთაშორისო მდგომარეობის გამო, შედარებით ლოკალური იყო, ახლა პუტინმა საერთაშორისო გლობალური კონფლიქტი წამოიწყო.

როცა მკვლევარები, პოლიტოლოგები საუბრობდნენ, თუ როგორ აერთიანებდა პუტინის რეჟიმი ყველაზე ტოქსიკურ და სახიფათო მემკვიდრეობას რუსული იმპერიული პროექტით, საზოგადოებას ამაზე ცინიკური დამოკიდებულება ჰქონდა – ერჩივნა, კომფორტის ზონაში დარჩენილიყო და ამ რეალობისთვის თვალი აერიდებინა. მეორე მხრივ, არიან ძალები, რომლებიც თავს ამ სცენარში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის მოკავშირედ თვლიან. ახლა კი ცხადზე ცხადია, რომ პუტინის რეჟიმის, მისი იდეოლოგიის, რომელიც ყბადაღებული „რუსსკი მირ“-აა, რუსული სამყარო უკიდურესად პრიმიტიული გადამღერებაა იმპერიული მემკვიდრეობისა და საბჭოური ტოტალიტარიზმისა. ასეთი რეჟიმების პროპაგანდა ყოველთვის დგას პრიმიტიულ, მაგრამ მუდმივად განმეორებად ტყუილსა და ტვინის რეცხვის მასობრივ ინსტრუმენტებზე.

„რუსსკი მირ“ ითარგმნება, როგორც რუსული იმპერიული ოცნება, აკონტროლოს ევრაზიის სივრცე, შემოიკრობის ის მიწები, რომლებზეც ოდესღაც ჰქონია პრეტენზია ან რუსი ჯარისკაცის ჩექმა მდგარა. ახლა დიდ სენტიმენტებს რომ იწვევს საზოგადოების ნაწილში ეს ჩაუცმელი, შეშინებული, დამარცხებული ჯარისკაცების სახეები, რომელთაც უკრაინელები აჩვენებენ, თუკი ისინი იარაღით ხელში შენს წინააღმდეგ აღმოჩნდებიან, მათი ტვინები მომართული იქნება იმ პროპაგანდით, რომლითაც 100 წლის წინ, ჩვენთან შემოიჭრა რუსული საბჭოთა არმია და დაგვიპყრო. მაშინაც იმეორებდნენ, აქ რუსული სისხლია დაღვრილი და ეს მიწა ჩვენიაო. ყველაფერ ამას პუტინი აფორმებს ხსენებული „რუსსკი მირ“-ის ფარგლებში, რომ საბჭოეთი იყო რუსეთი და არაა საუბარი ერებზე, ძმობა-მეგობრობაზე, არამედ, პირდაპირ, ცხადად, ეს ტოქსიკური და დამღუპველი სახეა ტოტალიტარიზმისა და თანამედროვე ნაციონალიზმისა.

შეცდომა დაუშვა დასავლურმა სამყარომ, როცა ბოლომდე არ მიჰყვა საბჭოეთის ჩამოშლას და არ გააკეთებინა დასუსტებულ და მოწყვლად რუსეთს – საბჭოთა იმპერიის სამართალმემკვიდრეს – ის, რაც გააკეთეს გერმანიის შემთხვევაში, რათა სისტემურად დაეშალათ საბჭოური ტოტალიტარული რეჟიმის მემკვიდრეობა. ამან საშუალება მისცა პუტინს, არათუ ეს მემკვიდრეობა გამოეყენებინა, არამედ, ნაცისტური მინარევებითაც გაემდიდრებინა. ახლა რომ ესვრიან უნივერსიტეტებს, სკოლებს, ჰოლოკოსტის მემორიალიც კი დაწვეს კიევში და ის ფაქტიც, რომ კიევზე შეტევა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ ყოფილა, ამით, თავისივე ინერციით, არსებულ კოლექტიურ მეხსიერებას დაარტყეს – გასაგებია, რამდენად კაციჭამიობასთან მიახლოებული გახდა მისი ქმედებები...

– ირაკლი, როგორ ფიქრობთ, რატომ არ გაითვალისწინა პუტინმა გლობალური მოცემულობა? ახლა მეოცე საუკუნე არაა – დასავლეთმა რუსეთს უპერეცედენტო სანქციები დაუწესა და იზოლაციაში მოაქცია; უკრაინაც წარმოუდგენელ წინააღმდეგობას უწევს ოკუპანტს... პუტინი საკუთარ ნაჭუჭშია ჩაკეტილი და ილუზიას ქმნის, რომ გაიმარჯვებს?

– ის, რაც აქამდე ვთქვი, გარედან დაკვირვება და ჩემი აღქმაა, ხოლო შიგნიდან როგორ აშენდა და რას დაეფუძნა რუსული ტოტალიტარიზმი, სხვა საკითხია. ამას რამდენიმე შრე აქვს: ერთი, პირად ფსიქოლოგიურ დონეზე როგორ აშენდა და მეორე, თუ როგორ მივიდა აქამდე, ამ დამღუპველ ნაბიჯამდე.

პირველ რიგში, ეს იყო ილუზია, რაც საბჭოეთის რღვევის შემდეგ, გარესამყაროში არსებობდა – ამ ტოტალიტარული მემკვიდრეობის დაძლევის „გადახარშვის“ და გათავისუფლების ძალისმიერად ხელშეწყობის გარეშე, ხალხი მოახერხებდა მისგან გამიჯვნას. ეს რესურსი კი დაიკარგა და ამაზე დაიწყო რევანშის მშენებლობა. ამ მხრივადაც არ გამოადგა დასავლეთს წარსული გამოცდილება და ის ანდაზა მართლდება – „ისტორია გვასწავლის იმას, რომ ვერაფერს ვსწავლობთ ისტორიიდან“.

ამ აგრესიულ პუტინიზმს, იმპერიულ პროექტს კვებავდა ანალოგური რიტორიკა, რამაც ნაციზმის აღზევება გამოიწვია 1930-იანების საზღვარზე. ომში დამარცხებულმა, ეკონომიკურ კრიზისში მყოფმა გერმანიამ იპოვა მტრის ხატი – „ჩვენ დაგვამცირეს, დაგვამარცხეს, შიგნიდან გაგვტეხეს და ახლა უნდა წამოვდგეთ და ვაჩვენოთ საკუთარი ადგილი ჩვენს მტრებს“. ეს რიტორიკა მეორდებოდა და ამას სამყარო პასიურად ადევნებდა თვალს, რადგან გაჩნდა ილუზია, რომ ორმხრივი სარგებელი რუსეთთან თანამშრომლობის, სავაჭრო-ეკონომიკური კუთხით, იქნებოდა ის, რაც შანტაჟს გამორიცხავდა. გარესამყაროს რუსეთი დღემდე სჭირდებოდა რესურსების მიმწოდებლად, ასევე, განიხილავდნენ, რომ ეს ყველაფერი რუსეთისთვისაც ორგანულად აუცილებელი იყო და ის ვერასდროს დაემუქრებოდა პარტნიორებს ამ ურთიერთობების შეჩერებით, რამაც ვნახეთ, რომ სრული კრახი განიცადა და აბსოლუტურად სხვა რეალობაში გავიღვიძეთ.

ამან შექმნა გარემო, როცა პუტინის პროექტი, ნაბიჯ-ნაბიჯ, რაღაც მომენტამდე მუშაობდა ანუ იყო შანტაჟი საკუთარი მდგომარეობის მძევლად აყვანის, რასაც ახლაც აკეთებს – თუ არ გაითვალისწინებთ ჩემს ინტერესესს და არ დამითმობთ, ამ რესურსებს შევაფერხებ, უფრო მეტიც, შეგახსენებთ, რომ ბირთვული სახელმწიფო ვართო. აქამდე, ზუსტად ამან გაათამამა და მოიყვანა პუტინი, რადგან ეს ტაქტიკა მუშაობდა.

აი, ესაა დიდი განსხვავება და ჩვენს საზოგადოებას უჭირს ამის აღქმა – დასავლური ცივილიზაციის მოდელსა და ამ აბსოლუტურად საპირისპირო ალტერნატივას შორის – როგორ მიიღება იქ გადაწყვეტილებები და იცვლება გლობალური კურსი. დასავლეთი არ არის მონოლითური, ეს არის დიდი სახელმწიფოები, სხვადასხვა ზომის, გავლენის, რესურსის, ესაა თანამშრომლობა, ალიანსები, რომელთაც არ შეუძლიათ ძალიან სწრაფად, ერთიანი კურსით, კოორდინაციით გამოვიდნენ, თუ რაღაც შოკისმომგვრელი არ ხდება, რაც ახლა ვნახეთ და ამან განსაზღვრა მსგავსი კოორდინაციაც.

ასეთ ტოტალიტარულ რეჟიმებს კი შეუძლიათ, ძალიან ხისტად და სწრაფად იმოქმედონ, რადგან კონკრეტული ადამიანის ნებაზეა მთელი ვერტიკალი აწყობილი. ამანაც გაათამამა პუტინი, ის გაცილებით სწრაფი ჩანდა თავის მოწინააღმდეგეებთან, თითქოს ინიციატივა მის ხელში იყო, კარნახობდა პირობებს და მუდმივად აშანტაჟებდა დასავლეთს, რომ მკვეთრ ნაბიჯებს გადადგამდა და ამან გამოიწვია რეალობიდან აცდენა. ამას ემატება ასეთი რეაჟიმების სიმყიფე, ბიბლიური იგავიც მოჰყავთ ხოლმე მაგალითად – „თიხის ფეხებზე მდგარი გოლიათი“ – დიდი, ძლიერი, მონოლითური, მიუვალი, მაგრამ ძალიან მყიფე ნიადაგზე მდგარი, რომლის გამოცლის შემთხვევაშიც ჩამოიშლება, რადგანაც ასეთი რეჟიმი აგებულია ტოტალიტარულ ტყუილზე. ყველა ქვემდგომი რგოლი ატყუებს ზემდგომს, რაღაც წესრიგშიაო და შეგვიძლია, ეს გეომეტრიული პროგრესიით წარმოვიდგინოთ, როგორ მიდის ეს ტყუილი ზემოთ, ცენტრში, სადაც გადამოწმებისა და შიდაკონტროლის მექანიზმი არ არსებობს...

– ხედავთ თუ არა უკვე რეალურ ნიშნებს პუტინის რეჟიმის რღვევისა? ეს პროცესი ძალიან სწრაფად განვითარდება თუ დროში გაიწელება?

– ეს, რა თქმა უნდა, დღეებისა და კვირების პროცესი არ იქნება.

გენრი დოლიძე: „თინა კანდელაკი პროპაგანდისტული მანქანის ბოროტი ინსტრუმენტია!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

უნდა გავმიჯნოთ თუ არა ერთმანეთისგან რუსული პოლიტიკა და კულტურა

უკრაინა რუსეთის სასტიკ სამხედრო თავდასხმებს დღემდე უძლებს. ზელენსკის მეთაურობით, ხელისუფლება ღირსეულად იგერიებს რუსეთის სამხედრო იერიშს უკრაინის ქალაქებზე. უკრაინასთან ომის წამოწყების გამო, რუსეთის წინააღმდეგ მთელი დასავლური სამყარო ერთიანდება. მსოფლიოს კულტურის, სპორტის, ხელოვნების ვარსკვლავები პუტინის რეჟიმს უპირისპირდებიან და ცალსახა მხარდაჭერას უცხადებენ უკრაინის მოსახლეობას. აქვე, აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ალაპარაკდა უკრაინელი ხალხის ბრძოლისუნარიანობასა და ერთსულოვნებაზე. ერთ მუშტად შეკრული ერი ყველაფერს აკეთებს, რომ რუსეთის აგრესიას წინ აღუდგეს თავისუფლების დასაცავად. დასავლეთი ყოველდღიურად მძიმე სანქციებს უწესებს რუსეთს, შეზღუდვები შეეხება ეკონომიკას, კულტურას, სპორტს ანუ ყველა სფეროს, რაც რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკას ქმნის და ამ ფონზე, ამოტივტივდა საკითხი, რაც საქართველოში მუდმივი დავის საგანია – უნდა გავმიჯნოთ თუ არა ერთმანეთისგან რუსეთის პოლიტიკა და კულტურა, ხელოვნება, სპორტი და ა.აშ.? – „ვერსია“ მწერალსა და სამოქალაქო აქტივისტ გენრი დოლიძეს ესაუბრა:

– ძალიან მნიშვნელოვანია კონტექსტის გააზრება, რადგან კულტურა არ არის ზოგადი ცნება, არამედ, კულტურა შეიძლება იყოს სახელმწიფოს პროპაგანდისტული ინსტრუმენტი. მაგალითად, თუ ანსამბლი „ერისიონი“ ჩადის და კრემლის დარბაზში ცეკვავს, ამ შემთხვევაში, არ იმიჯნება ჩემთვის კულტურა და პოლიტიკა და პირიქით, ვფიქრობ, ეს ყველაზე დიდი მარცხია ჩვენი ქვეყნის კულტურული პოლიტიკისა. იმ შემთხვევაში კი, თუ ვთქვათ, ნინო ქათამაძე ჩადის არასაომარ ვითარებაში არა მოსკოვში, არამედ, სხვა ქალაქში და რომელიღაც კლუბში მღერის ვინმეს ჯანმრთელობის დასახმარებლად, ვმიჯნავ კულტურას პოლიტიკისგან. მაგალითად, ხვიჩა კვარაცხელია, რომელიც თამაშობს რომელიღაც არაპირველხარისხოვან საფეხბურთო კლუბში, ჩემთვის არასასიამოვნოა, თუმცა ვფიქრობ, რომ ეს არ განასახიერებს რუსული სახელმწიფო იმპერიალისტური პოლიტიკის სიმბოლოს, თუმცა როდესაც საქართველოს საკალათბურთო ნაკრების კაპიტანი „ცეესკაში“ თამაშობს, რომელიც არმიის კლუბია, ეს სიმბოლო და მიუღებელია.

ვფიქრობ, საკითხები ინდივიდუალურად უნდა განვიხილოთ, მაგრამ როდესაც ზოგადად კულტურაზეა საუბარი, რა თქმა უნდა, არ იმიჯნება, რადგან რუსეთი არის სახელმწიფო, რომელიც პროპაგანდის ერთ-ერთ ინსტრუმენტად იყენებს სწორედ კულტურას, საქართველოს საბჭოთა მენტალიტეტში ჩარჩენილ ინტელიგენციას, სხვა ინსტიტუტებთან ერთად და ეს ნოყიერი ნიადაგია პრორუსი ძალებისთვის. შესაბამისად, ძალიან დიდი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ ამ საკითხს.

რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მდგომარეობაა საომარი ვითარება, როდესაც ბავშვები იღუპებიან, სახლები იბომბება, აქ გამიჯვნასა და კულტურაზე საუბარი ზედმეტია. მთელი ჩვენი რესურსი, კულტურა, აზროვნება იმაზე უნდა იყოს გადართული, რომ ეს ბოროტების მანქანა გაჩერდეს და გარჩევის დროც არაა, რა უნდა გაიმიჯნოს და რა – არა.

დარწმუნებული ვარ, როდესაც რუსული იმპერია დაინგრევა, იმ კულტურისგანაც, რაც ახლა წარმოადგენს პროპაგანდისტულ ნაწარმს, გაქრება და დარჩება, რა თქმა უნდა, დოსტოევსკი, თუნდაც თანამედროვე პოეტები – ალექსანდრე ცვეტკოვი, რომელიც პუტინისგან გაქცეულია და ნიუ იურკში ცხოვრობს, თუმცა ახლა კარგისა და ცუდის გარჩევის დრო არაა და ვფიქრობ, საომარ ვითარებაში ცალსახად – არა, რუსული კულტურის პოლიტიკას!

– უკვე თქვით, რომ საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებს იყენებს რუსეთი პროპაგანდისთვის, რისი ნათელი მაგალითიცაა თინა კანდელაკი. სოციალურ ქსელში წერდით, რომ მისი სახელით დაგიკავშირდნენ...

– მოგეხსენებათ, აქციის მსგავსი რამ გაკეთდა, თინა კანდელაკს საპროტესტო წერილები გავუგზავნეთ, რის შემდეგაც ჩემი ტელეფონის ნომერი რომელიღაც რუსულ ჯგუფში აღმოჩნდა და ტელეფონზე ასობით ზარი შემოვიდა. მირეკავდნენ რუსები და, რა თქმა უნდა, შესაბამის პასუხსაც ვცემდი. შემდეგ დამიკავშირდა ერთ-ერთი ადამიანი, მითხრა, ჩემთვის საყვარელ ადამიანს შეეხეო და დამიწყო „გარჩევა“, თუმცა ვფიქრობ, ამ შემთხვევაში, თინა კანდელაკი არ წარმოადგენს საქართველოს, რადგან ადამიანის ეთნიკური წარმომავლობა საერთოდ არაა მნიშვნელოვანი. მთავარია, რას ემსახურება და ის პროპაგანდისტული მანქანის ბოროტი ინსტრუმენტია.

– რა თქმა უნდა, წლებია, კანდელაკის განცხადებები ემსახურება პუტინის პროპაგანდას...

– იმ ფონზე, რომ ბევრმა რუსმა მომღერალმა, შოუ-ბიზნესის წარმომადგენელმა დაგმო, ზოგმა კი ნეიტრალური პოზიცია დაიჭირა, სამწუხაროა, რომ ქართული გვარის ადამიანი რუსეთის აგრესიის გამართლებას ცდილობს.

– თქვენი დაკვირვებით, რუსეთში ხელოვანი ადამიანები რამდენად გამოხატავენ პროტესტს ამ ვითარებაში?

– რუსეთი ავტორიტარული, დიქტატორული რეჟიმის სახელმწიფოა, ხოლო მთელი შოუ-ბიზნესი ცენტრალიზებული და დამოკიდებულია ხელისუფლებაზე. სხვათა შორის, საქართველოშიც ასეა. ხელისუფლება ცდილობს, ჰყავდეს დამოკიდებული, იყოს მზრუნველი ძიძა ხელოვანი ადამიანებისთვის და შესაბამისად, ცნობილი რუსი ხელოვანების უდიდესი ნაწილი პუტინის პოლიტიკაზეა დამოკიდებული და არც მიკვირს, რომ აქვთ სირაქლემას პოზიცია, არ იმჩნევენ ომს ან აპროტესტებენ ისეთი ნეიტრალური ფრაზით, როგორიცაა: – „ომი ცუდია, ბავშვები არ უნდა კვდებოდნენ“. მკვეთრად გამოხატული პოზიცია არ აქვთ, ვერც ექნებათ და ეს არც მიკვირს.

– რატომ არ გიკვირთ? ხელოვანები, ხომ, სწორედ ის ადამიანები არიან, რომელთა დამორჩილება და დამონება ყველაზე რთული უნდა იყოს?

– რუსეთში კი არა, საქართველოშიც ვერ ვხედავ იმ მასშტაბის ჯანსაღ პოზიციას შოუ-ბიზნესისა და კულტურის წარმომადგენლებში, როგორ მკვეთრადაც უნდა იყოს გამოხატული. ამიტომ არ მიკვირს, რუსეთში დიქტატურაა დამყარებული და ის ადამიანები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ რეჟიმს, ზოგი დევნილია ან არ აქვს პლატფორმა, შესაძლებლობა, რომ თავი დაიმკვიდროს. ამიტომ არ მიკვირს, ვინც პუტინის რეჟიმის სატელევიზიო არხებიდან გახდნენ პოპულარულები, დღეს პუტინს რომ არ ეწინააღმდეგებიან, თუმცა ერთი-ორი გამონაკლისია ალა პუგაჩოვასა და რამდენიმე სხვა ადამიანების სახით, რაც, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, თუმცა საერთო სურათს ვერ ცვლის.

– გენრი, ვხედავთ, რომ რუსეთს უდიდესი პრობლემები ექმნება გლობალურ ჭრილში და ელოდებით, რომ რუსეთში დაიწყება მასშტაბური პროტესტი, რომლის სათავეშიც, სწორედ ცნობილი ადამიანები აღმოჩნდებიან სხვადასხვა სფეროდან?

– პროგნოზი ძალიან რთულია, რადგან რუსეთი არაა კლასიკური დიქტატურული სახელმწიფო, ინდივიდუალური ჰიბრიდული რეჟიმია და პუტინი თავისებური მახრჩობელა წესებით მოქმედებს. შესაბამისად, ძნელია პროგნოზის გაკეთება, შიგნიდან აფეთქდება პროტესტი და რეჟიმი შიგნიდან დაემხობა თუ გარედან მოხდება მისი კედლების რღვევა. ამას ვერ ვიტყვი და განსაკუთრებული მოლოდინიც არ მაქვს, თუმცა, რა თქმა უნდა, ჩემი სურვილია, რუსეთში დამყარდეს დემოკრატიული წყობა და იმ ადამიანებს, რომლებიც საღ აზრზე არიან, მიეცეთ შესაძლებლობა, იცხორვონ ცივილურ სახელმწიფოში.

რუსეთში ერთ მოქალაქეზე ერთ კილოგრამზე მეტ წიწიბურას აღარ ჰყიდიან – აშშ-სა და ევროკავშირის ფინანსური სანქციების უმძიმესი შედეგი

მაკა რუხაძე

უკრაინაში შეჭრის, ასევე, დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკების აღიარების გამო, აშშ-მა, ევროკავშირმა, დიდმა ბრიტანეთმა, კანადამ, ავსტრალიამ და იაპონიამ რუსეთს უპრეცედენტოდ მასშტაბური ფინანსური სანქციები დაუწესეს. „ვერსია“ უკვე წერდა, კონკრეტულად რომელ კომპანიებს და პუტინის გარემოცვის რომელ წევრებს შეეხოთ დასავლეთის მკაცრი ხელი. ევროპა-აშშ-ისა და მათი მოკავშირეების სანქციები ამით არ ამოწურულა და თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში გრძელდება – დღითი-დღე სულ უფრო მეტი ცნობილი უცხოური კომპანია და საერთაშორისო ბრენდი ტოვებს რუსეთის ბაზარს. პარალელურად, საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „მუდსი“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ რუსეთს დეფოლტი ელის. ვფიქრობ, აშშ-ის, ევროკავშირისა და მათი მოკავშირე ქვეყნების ფინანსური სანქციების მთავარი მიზანი ისაა, საშუალო სტატისტიკური, რიგითი რუსი ადამიანები ქუჩაში გამოვიდნენ და პუტინის ხელისუფლება დაასრულონ, თუმცა საპროტესტო აქციები და მიტინგები რუსულ ხასიათში დიდად არ ჯდება, თუ არ ჩავთვლით 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციასა და 1991 წლის „აგვისტოს პუტჩს“ ანუ ГКЧП-ს, რასაც სახელმწიფო გადატრიალება მოჰყვა.

„ჯეპრა“-ს უფროსი კონსულტანტი, სოსო გალუმაშვილი ამ მოსაზრებას არ იზიარებს და ექსკლუზიურ ინტერვიუში კონკრეტული მაგალითებით მიხსნის, რომ რუსეთში საპროტესტო გამოსვლები საკმაოდ ხშირია, გააჩნია, ისტორიის რა მონაკვეთს განვიხილავთ:

სოსო გალუმაშვილი: „რუსეთი დეფოლტისკენ მიექანება!“

– თუ მე-19 და მე-20 საუკუნეებს განვიხილავთ, ამ პერიოდში ძალიან ხშირად იყო საპროტესტო გამოსვლები რუსეთში, რომელიც ცვლიდა კიდეც ხელისუფლების, მათ შორის, მეფეების გარკვეულ გადაწყვეტილებებს. გაგახსენებთ 1812 წლის შემდგომ გამოსვლებს, ასევე, 1860 წელს, ალექსანდრე მეორეს რეფორმებს, როდესაც ბატონ-ყმობა გაუქმდა რუსეთის იმპერიაში, რასაც საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა, გავიხსენოთ დეკაბრისტების აჯანყებაც... მე-20 საუკუნის დასაწყისი სერიოზული გამოსვლებითა და რევოლუციებით დაიწყო – გავიხსენოთ ოქტომბრის რევოლუცია, ასევე, საპროტესტო გამოსვლები პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. აქედან გამომდინარე, არაა მართებული ვთქვათ, თითქოს, რუსეთის ისტორია არ იცნობს საპროტესტო გამოსვლებს, ან რუსულ ხასიათში არ ჯდება.

სხვათა შორის, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდშიც არაერთი მასშტაბური საპროტესტო გამოსვლა იყო, უბრალოდ, სტალინმა გარკვეული იდეოლოგიის ქვეშ მოაქცია ყველაფერი ეს. ფართო საზოგადოებამ ამის შესახებ არაფერი იცოდა იმიტომ, რომ სისხლში ახშობდნენ ამგვარ გამოსვლებს – მომიტინგეებს ხოცავდნენ და ცხადია, არ ახმაურებდნენ. მაგალითად, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ბევრ რესპუბლიკაში არც კი იცოდნენ, რომ 1953 წელს, იგივე სტალინის გარდაცვალებას, საქართველოში დიდი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა; არავინ იცოდა, რომ 1956 წლის 9 მარტის საპროტესტო გამოსვლის შესახებ, როდესაც ხრუშჩოვმა სტალინის კულტზე დაიწყო საუბარი და რასაც ახალგაზრდების პროტესტი მოჰყვა თბილისში – ეს მიტინგიც სისხლში ჩაახშვეს და მომიტინგეები დახოცეს, მაგრამ დანარჩენ 14 რესპუბლიკაში არაფერი გაუგიათ; არავინ იცოდა, რომ 1978 წლის 14 აპრილს, ქართული ენის დასაცავად, თბილისში მასობრივი საპროტესტო აქცია გაიმართა; სამაგიეროდ, არც ჩვენ „გაგვიგია“, რომ დიდი გამოსვლები იყო ყაზახეთში, ციმბირში... ყველაფერ ამას მალავდნენ და არ ავრცელებდნენ ინფორმაციას. 1991 წლის „აგვისტოს პუტჩიც“ სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ – მასობრივ საპროტესტო აქციას ხელისუფლების ცვლილება მოჰყვა. მეტიც, რუსეთში უამრავი საპროტესტო მიტინგი იყო ელცინის, ასევე პუტინის მამრთველობის დროს, რასაც სხვადასხვა დემოკრატიული ძალები ედგნენ სათავეში, ვგულისხმობ ბორის ნემცოვსა და ალექსეი ნავალნს. ყველაფერი ეს ან იჩქმალებოდა, ან საბოლოო ჯამში, მომიტინგეების დაპატიმრებით მთავრდებოდა.

სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ, აკუნინი-ჩხარტიშვილის ინტერვიუ ვნახე „იუთუბზე“, სადაც ამბობს, რომ ის მმართველები, რომლებიც რეფორმებისთვის მოდიოდნენ რუსეთში, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ამ რეფორმებს ივიწყებდნენ, რადგან თვით რუსეთის არსებობის ეგზისტენციალური საფრთხე დგებოდაო. ახლანდელი პუტინი რომ 22 წლის წინანდელ პუტინს შევადაროთ, აშკარად დავინახავთ, რომ „მათ“ აბსოლუტურად განსხვავებული მართვის სტილი, მეთოდები, შეხედულებები და მიდგომები აქვთ. როდესაც ხელისუფლებაში მოდიოდა, დემოკრატიული იდეებით იყო გამსჭვალული, რეფორმების გატარებაც სურდა, მაგრამ დღეს მივიღეთ კლასიკური დიქტატურა და დიქტატორი, რომელიც საღი აზრის წინააღმდეგ ყველანაირ ტექნოლოგიასა და მეთოდს იყენებს. ფაქტობრივად, პუტინის სახით, მივიღეთ კადაფი, ოღონდ მემილიონე ხარისხში, რომელიც ქუჩაში რიგით გამვლელებს ტოტალურად უთვალთვალებს. ეს უკვე რეჟიმის უკანასკნელი მოქმედებებია, რომლის იქით, ალბათ, ხალხის ქუჩაში დახოცვას დაიწყებს.

– გეთანხმები, რომ ეს რეჟიმის დასასრულის დასაწყისია... სოსო, რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულ ფინანსურ სანქციებს დავუბრუნდეთ, ეს ხომ უპრეცედენტოდ მძიმე სასჯელია, რომლის მსგავსი, აშშ-ს და ევროპას აქამდე, არცერთი სახელმწიფოსთვის არ დაუწესებია?

– მაია, თავიდან თქვი, ფინანსური სანქციები შემოიღეს იმისთვის, ხალხი ქუჩაში გამოვიდესო და არ დაგეთანხმე, რადგან ამ სანქციების დაწესების მიზანი რუსეთში მოსალოდნელი ან სავარაუდო რევოლუცია არ ყოფილა. სანქცია გარკვეული დასჯის მეთოდია იმ ქცევისთვის, რასაც რუსეთის ხელისუფლება ახორციელებს. ამ სანქციებით დასავლეთმა აბსოლუტურად ცივილიზებული მეთოდებით მიუჩინა ადგილი პუტინს და მის თანამოაზრეებს, თუმცა დასავლეთის ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ასეთი ხარისხის, ასეთი სიღრმისა და მასშტაბურობის სანქციები, ფაქტობრივად, არცერთი ქვეყნის წინააღმდეგ არ გამოუყენებია! ეს არის პუტინის იძულება, რათა მიახვედრონ, რომ მის აგრესიულობასა და თავგასულობასაც აქვს კონკრეტული საზღვარი. აი, ეს არის ამ სანქციების მიზანი, რაც დასავლეთმა დაუწესა რუსეთს და ვფიქრობ, მომავალშიც გაგრძელდება.

– გასაგებია, რომ ფინანსური სანქციების მიზანი პუტინისა და მისი გარემოცვის დასჯაა, მაგრამ საბოლოო შედეგი რა არის ანუ რას ელოდება ცივილიზებული მსოფლიო ამ სანქციებით?

– ორი გამოსავალი არსებობს – ან ცივილიზებული დასავლეთი მესამე მსოფლიო ომისკენ უნდა წაიყვანონ, რადგან პუტინი ატომური იარაღით აშანტჟებს მთელ მსოფლიოს, ან ფინანსური სანქციები კიდე უფრო მეტად უნდა გაძლიერდეს ანუ პუტინის მადა შეკვეცონ იქამდე, ვიდრე კონკრეტული პრობლემები არ შეექმნება რუსეთში. სანქციები რეალურად მუშაობს და ეს არ არის სოსო გალუმაშვილის სურვილების ვერბალიზაცია – აბსოლუტურად მარტივ მაგალითს მოგიყვანთ, რუსეთის ტერიტორიაზე, „ვიზა“ და „მასტერქარდი“ აღარ მოქმედებს! იმისთვის, რომ ნაციონალურ საგადამხდელო სისტემაზე გადაეწყოს, რუსეთს, მინიმუმ, სამი თვე დასჭირდება, რათა მოსახლეობამ ახალი ბარათები, ეგრეთ წოდებული, „მირ“ აიღონ და ეს ერთი, ძალიან სერიოზული უხერხულობაა. მეორე, მნიშვნელოვანი უხერხულობა ის არის, რომ საჰაერო სივრცის დაკეტვით, დასავლეთმა, პრაქტიკულად, რუსეთის ეროვნული ავიახაზების სრული პარალიზება გამოიწვია – რუსული ავიაკომპანიები ვეღარ იფრენენ უცხოეთში!

გარდა ამისა, კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი საკითხი, რაც ფინანსურ სანქციებს უკავშირდება, პირველადი მოხმარების პროდუქტების დეფიციტია რუსეთში. უკრაინაში ომი იწელება და ამასთან ერთად, სანქციების ამუშავებამ გამოიწვია ის, რომ რუსეთში სასურსათო დეფიციტი შეიქმნა. მაგალითად, თუ ერთი კვირის წინ, რუსეთის ქალაქებში, ძირითად მსხვილ სავაჭრო ქსელში მოსახლეობას შეეძლო, განუსაზღვრელი რაოდენობის წიწიბურა ეყიდა, ახლა თითო ადამიანზე თითო კილოგრამ წიწიბურას, მაკარონსა და ბრინჯს გასცემენ.

რეალურად ვხედავთ, რომ დასავლეთის მიერ კონკრეტულად პუტინისა და მისი გარემოცვისთვის დაწესებულმა სანქციებმა ნელ-ნელა იმ ბებიამდეც მიაღწია, რომელიც ჯერ კიდევ პუტინს უჭერს მხარს, მაგრამ ამ სანქციების გამო, უკვე მას შეექმნა პრობლემა. სხვათა შორის, ამას ახალგაზრდა თაობა თავიდანვე მიხვდა, როდესაც „ეფლის“ „აიფონი“ იყიდა და ვერც „სამსუნგის“ „სმარტფონი“ შეიძინა, რადგან „ეფლმაც“ და „სამსუნგმაც“ დატოვეს რუსეთის ბაზარი, მეტიც, ეს ახალგაზრდა „ნეტფლიქსსაც“ ვეღარ უყურებს, რადგან რუსული ბარათი აქვს. აი, ეს არის ფინანსური სანქციების მთელი არსი, რომლის შედეგადაც, უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა შეიქმნება რუსეთში.

– სოსო, საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „მუდსის“ პროგნოზით, რუსეთი მართლა დეფოლტის საფრთხის წინაშე დგას?

– ვიდრე ამ კითხვაზე გიპასუხებ, მოდი, რუსეთის რეიტინგებს გადავავლოთ თვალი. სხვათა შორის, ბოლო წლებში, პანდემიისა და თავისი აგრესიული ხასიათის მიუხედავად, რუსეთს ცუდი რეიტინგები არ ჰქონია. 2014 წელს, უკრაინაში – ყირიმის ოკუპაციისა მანამდე, საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაციის მიუხედავად, რუსეთს საკმაოდ მაღალი რეიტინგი ჰქონდა და საინვესტიციო თვალსაზრისითაც, მიმზიდველი ქვეყნების რეიტინგში შედიოდა. თუმცა, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, ამ რეიტინგის კატასტროფულ ვარდნას ვხედავთ და პირადად მე, ასეთი ვარდნა არ მახსოვს – ეს ნიშნავს, რომ რუსეთი დეფოლტისკენ მიექანება! საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „მუდსის“ შეფასებით, რუსეთს ერთი ნაბიჯი დარჩა დეფოლტამდე.

კარგად დაგეგმილი რუსული პროვოკაცია – ქართული რძისა და რძის პროდუქტების ექსპორტი რუსეთის ბაზარზე?!

ანა მიქაძე-ჩიკვაიძე: „როდესაც ჯოჯოხეთური ომია უკრაინაში, რძე კი არა, ზედმეტი შავი ქვა რომ მქონდეს, რუსეთის ბაზარზე იმასაც არ გავიტან!“

მაკა რუხაძე

„როსსელხოზნადზორმა“ საქართველოში მორიგი პროვოკაცია დაგეგმა. რამდენიმე დღის წინ, ინფორმაცია გავრცელდა, რომლითაც რუსეთის ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული ზედამხედველობის სამსახურმა რუსეთში რძის ნაწარმის შეტანის უფლება 15 ქართულ კომპანიას მისცა. უკრაინის უმაღლესი რადას ფრაქცია „ხალხის მსახურის“ თავმჯდომარე დავით არახამიამ უკრაინელებისთვის „ზურგში დანის ჩარტყმად“ შეაფასა ინფორმაცია, რომლითაც რუსეთ-საქართველოს შორის მოლაპარაკებების შედეგად, რუსეთმა ქართულ რძესა და რძის პროდუქტებზე შეზღუდვა მოხსნა. სინამდვილეში, ქართულ ღვინოსა და რძის პროდუქტებზე სანქციების მოსახსნელად, „როსსელხოზნადზორთან“ მოლაპარაკებები 2020 წლიდან დაიწყო.
რუსეთის მთავარ ვეტერინარს რატომღაც ახლა, უკრაინაში დატრიალებული ჯოჯოხეთის კვალდაკვალ „გაახსენდა“ ორი წლის წინ დაწყებული ამბავი და სანქციები მოხსნა, თანაც არც მეტი, არც ნაკლები – 15 კომპანიისთვის, რასაც ქვეყნის შიგნით დიდი მითქმა-მოთქმა და აჟიოტაჟი მოჰყვა. ვისაც არ დაეზარა, არავინ დაიშურა სალანძღავი სიტყვები რძის კომპანიების მიმართ, მაგრამ რეალობა სულ სხვაა: ჯერ ერთი, საქართველო იმ რაოდენობის რძეს და რძის პროდუქტებს ნამდვილად არ აწარმოებს, რომ საკუთარი, ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნები სრულად დააკმაყოფილოს და თუ მაინცდამაინც ექსპორტის აუცილებლობა დადგება დღის წესრიგში, ევროპისა და აღმოსავლეთის ბაზრებს აირჩევენ და მეორე – საქართველოში მოქმედი რძის პროდუქტების ერთი კომპანიაც კი არ აპირებს რუსეთის ბაზარზე შესვლას!

„ვერსია“ დეტალურად, ფაქტებზე დაყრდნობით გიამბობთ, როდის და როგორ დაიგეგმა მორიგი, რუსული პროვოკაცია: 6 მარტს, რუსეთის სახელმწიფო მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, სადაც „როსსელხოზნადზორის“ განმარტებით, 5 მარტის მოლაპარაკებების შედეგად მიიღეს გადაწყვეტილება ქართულ ღვინოზე, რძესა და რძის პროდუქტებზე სანქციების მოხსნის შესახებ. მოლაპარაკება უწყების ხელმძღვანელ სერგეი დანკვერტსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ (სეს) ხელმძღვანელ ზურაბ ჩეკურიშვილს შორის გაიმართა...

6 მარტსვე, მოგვიანებით, ამ ინფორმაციას „სეს“-ი სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა, სადაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ საკითხზე რუსეთთან მოლაპარაკებას 2020 წლიდან აწარმოებენ:

„ქართული აგრარული პროდუქციის მსოფლიო ბაზრებზე ექსპორტის ზრდის უზრუნველსაყოფად, მრავალი წელია, აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. აღნიშნულ პროცესში ჩართულია, როგორც შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები, ასევე, ცნობილი საერთაშორისო მარკეტინგული კომპანიები. მუშაობა მიმდინარეობს ქართული ცხოველური წარმოშობის პროდუქციის ექსპორტის ზრდის მიმართულებითაც.

„სურსათის ეროვნული სააგენტო“ მოლაპარაკებებს აწარმოებს არაერთ ქვეყანასთან, მათ შორის, ერთი კვირის წინ, წარმატებით დასრულდა მოლაპარაკებები საუდის არაბეთთან. 2020 წლიდან, მოლაპარაკებები მიმდინარეობდა რუსეთის ფედერაციის მხარესთანაც, რომლის საფუძველზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ქართული ცხოველური წარმოშობის პროდუქციის ექსპორტის დაშვებასთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციასა და სხვა ქვეყნებში.

ამავდროულად, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა სტანდარტებისა და რეგულაციების დანერგვასთან დაკავშირებით, რათა ქართული ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებშიც შესაძლებელი გახდეს.

ცხოველური წარმოშობის პროდუქციისთვის ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გატარებული პოლიტიკისა და „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, ევროკავშირის ბაზარზე, 2016 წლის დეკემბრიდან დაშვებულია ქართული თაფლის ექსპორტი და შედეგად, გასულ წელს, ევროპაში, უპრეცედენტო რაოდენობის თაფლია გასული“, – ვკითხულობთ „სეს“-ის განცხადებაში.

სეს-ის ამ განცხადებას რძის გადამამუშავებელი უმსხვილესი ქართული კომპანია „სანტე ჯი ემ თი პროდუქტების“ განმარტებაც მოჰყვა. კომპანია აცხადებს, რომ პროდუქციის რუსეთის ბაზარზე ექსპორტს არ გეგმავს:

„ვეხმაურებით აქტუალურ თემას, რომელიც ქართული რძის პროდუქტების მწარმოებლებისთვის რუსეთის ბაზარზე ექსპორტის შეთავაზებას ეხება. „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“ რუსეთის ბაზარზე რძის პროდუქტების ექსპორტს არ გეგმავს! „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“ რძის უმსხვილესი გადამამუშავებელი ქართული კომპანიაა, რომელიც ბაზარზე 1997 წლიდან ოპერირებს. კომპანიის პრიორიტეტი და უპირველესი საზრუნავი ქართველი მომხმარებელია. ამ ეტაპზე, კომპანია აქტიურადაა ჩართული უკრაინისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის პროგრამებში. პარალელურად, ადგილობრივ ბაზარზე მრავალ ინოვაციას ვგეგმავთ და იმპორტირებული პროდუქციის დეფიციტის შემთხვევაში, აქტიურად ვემზადებით, ბაზარი საქართველოში წარმოებული პროდუქტით ჩავანაცვლოთ“.

„სანტე ჯი ემ თი პროდუქტებს“ მხარი საქართველოში მოქმედმა სხვა კომპანიებმაც აუბეს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ სანქციების მოხსნის მიუხედავად, არცერთი ქართული კომპანია არ გეგმავს რუსეთის ბაზარზე შესვლას. მეტიც, იმავე დღეს, ქართული ყველის ისტორიის მკვლევარმა, ანა მიქაძე-ჩიკვაიძემ საკმაოდ ემოციური ვიდეო-მიმართვა გაავრცელა, რომელსაც მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ:

„მე, ანა მიქაძე-ჩიკვაიძე, ქართული ყველის ისტორიის მკვლევარი და რიგი რეგალიების მქონე, ახლა და ამ წუთას ვაცხადებ, რომ საქართველოს არა აქვს და ახლო მომავალში, არც ექნება რძის იმდენი პროდუქტი, გაიტანოს არამცთუ რუსეთში, ნებისმიერ კეთილგანწყობილ ქვეყანაშიც კი, რადგან ვერ ვაკმაყოფილებთ საკუთარ, შიდა ბაზრის მოთხოვნებსაც! სხვა დეტალებს, ისევ ჩვენი – ყველის მწარმოებლები რომ არ დავაზიანო, ჯერ არ ვიტყვი!

ვაცხადებ ღიად და დაუფარავად, თუ ერთი გრამი რძის პროდუქტი გავა რუსეთის ბაზარზე, მით უფრო, ამ საზიზღარი ომის ფონზე, იმ სიკვდილის ქრონიკის ფონზე, რაც უკრაინაში ხდება, ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების გათვალისწინებით, მე დავტოვებ ამ ქვეყანას, არ ვიმუშავებ არასდროს ქართულ ყველზე და მის პოპულარიზაციაზე, შევწყვეტ ყველა კვლევას და მოვითხოვ თავშესაფარს ნებისმიერ კეთილგანწყობილ ქვეყნაში, რომელსც სძულს რუსეთი, რუსული პოლიტიკა და პუტინი!!!

მე, საქართველოს მოქალაქე – ყველის დედა, დედოფალი, არ ვიცი, რაც დამარქვით და რას მეძახით, ვთვლი, რომ ეს პროვიკაციაა დღეს და რუსული რბილი ძალის პოლიტიკა! როგორც არ უნდა ადრე დადებულყო შეთანხმება, ახლა ეს შეთანხმება დაუყონებლივ უნდა შეჩერდეს!

დავწერ პეტიციას და მოვითხოვ მეყველე, მერძევე, მეწარმე ფერმერებისგან ხელმოწერას. ბოდიში, შიმშილით სიკვიდილი მირჩვენია, რუსული ბაზრის მომარაგებას!

დიდება უკრაინას! დიდება საქართველოს!

არ ვიცინით ყველის ვაჭარივით და არც არასდროს გავიცინებთ! არ გავცვლით ჩვენს სამშობლოს ყველის ნაჭრებზე!

რუსკი კარაბლ, იდი...!“

ამის შემდეგ, „ვერსია“ ქართული ყველის ისტორიის მკვლევარს, **ანა მიქაძე-ჩიკვაიძეს** დაუკავშირდა და გაარკვია, რომ ვიდეო-მიმართვის სოციალურ ქსელში გავრცელებისთანავე, „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ ხელმძღვანელი, ზურაბ ჩეკურიშვილი დაუკავშირდა და ყველაფერი დეტალურად აუხსნა:

„საკმაოდ ემოციური ვიდეო-აღიარება გამომივიდა, რადგან თვითონაც ემოციური ადამიანი ვარ და ჩემს სენტიმენტებს არ ვმალავ, მით უმეტეს, როდესაც თემა ძალიან ზემგრძნობიარეა. ჩემთვის ესაა ეროვნული კულტურის, იდენტობის ნაწილი, არ შეიძლება, რომ ღვინო, ყველი და რძის პროდუქტები ქართველმა ადამიანმა რამეში გაცვალოს! ამ საკითხს არ ვუყურებ, როგორც ბიზნესმენი, რადგან ბიზნესმენი კი არა, მკვლევარი ვარ. იმ რეალობის გათვალისწინებით, როდესაც ჯოჯოხეთური ომია უკრაინაში და როდესაც ჩვენ თვითონვე ვართ ოკუპირებული ქვეყანა რუსეთის მიერ, რძე, რძის პროდუქტები და ყველი კი არა, ზედმეტი შავი ქვა რომ მქონდეს, რომელიც არაფერში მჭირდება, რუსეთის ბაზარზე იმასაც კი არ გავიტან!

თუმცა, ჩემი ვიდეო-მიმართვის პასუხად, სოფლის მეურნეობის სამინისტროდან, პირადად, ბატონმა ზურაბ ჩეკურიშვილმა დამირეკა და დეტალურად ამიხსნა ყველაფერი. თუ დააკვირდით, ჩემი მიმართვის ბოლოს ხაზგასმით ვამბობ, რომ ზურაბ ჩეკურიშვილი პატრიოტი ადამიანია. მოკლედ, ბატონმა ზურაბმა ამიხსნა ის, რაც ისედაც ვიცოდი – დიახ, მართლაც 2020 წლიდან მიმდინარეობდა ამ საკითხზე მუშაობა, მაგრამ დღეს, უკრაინაში მოწყობილი ჯოჯოხეთის ფონზე, არცერთი წვეთი რძე და არცერთი გრამი ყველი არ ღირს იმად, რომ იქიდან მოგებული ფულით ბედნიერები ვიყოთ. აღმოჩნდა, რომ ხელისუფლებასაც არ აქვს სხვა მოსაზრება, მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ ჩვენ ადგილობრივ, საკუთარ ბაზარსაც ვერ ვაკმაყოფილებთ და რუსეთის ბაზარზე ჩვენი პროდუქციის გატანა ბლეფი და ზღაპარია!“

სამართალი

№9 9 მარტი 2022 წ

რუსეთის მოქალაქეების საქართველოში მასობრივ შემოსვლას კრიმინალის ზრდა მოჰყვება

რატომ გაძვირდა სახლები ქვემო ქართლში და რას ჰყვება აფხაზეთში „მოღვაწე“ ქართველი კრიმინალი

ბათო ჯაფარიძე

კოვიდპანდემიის დასაწყისი გახსოვთ? – ჯერ ერთი შემთხვევა, შემდეგ – მეორე, მეათე, მეასე, მეათასე... ჯერ ერთი გარდაცვლილი, მეორე, მეასე, მეათასე... და ყველაფერ ამას მივეჩვიეთ. ჰო, ციფრები ტრაგედია კი არა, ჩვეულებრივი სტატისტიკა გახდა და საქართველოში 16 ათასი გარდაცვლილი რომ გვყავს, ესეც სტატისტიკაა. იმ ოჯახებისთვის, ვისაც ვერაგმა დაავადებამ ოჯახის წევრი მოუკლა, ეს ტრაგედიაა და მთელი ცხოვრება გაჰყვება, დანარჩენებისთვის კი... არ არებობს საქართველოში ოჯახი, რომელსაც ეს დაავადება, პირდაპირ თუ ირიბად, არ შეეხო და შეეხო სწორედ ლეტალური შედეგით – ვიღაცას ნათესავი მოუკვდა, ვიღაცას – მეზობელი და მეგობარი, თანაკლასელი, თანამშრომელი... და როცა გარდაცვლილთა ციფრი ათასებს გასცდა, სტატისტიკა, ჩვეულებრივი სტატისტიკა გახდა.

თებერვალში, უკრაინაში ომი დაიწყო და პირველი მსხვერპლიც პირველივე დღეს მოჰყვა – ორი უკრაინელი სამხედრო დაიღუპა. მსხვერპლი იქნებოდა რუსულ შეიარაღებულ ძალებშიც, მაგრამ ამ ინფორმაციას ისინი საგულდაგულოდ მალავენ. მერე იყო ომის მეორე დღე, მესამე, მეოთხე... მესამე გარდაცვლილი, მეათე, მეასე... პირველი ბავშვი იმსხვერპლა ომმა და მისმა სურათმა მსოფლიო შემოიარა, მერე – მეორე, მესამე, მეათე, ოცდამეათეც... და ესეც სტატისტიკა გახდა. ჰო, სტატისტიკა, რომელიც ჯერ ტრაგედიად მხოლოდ იმიტომ აღიქმება, რომ ახალია, ცხელია, ცხელ გულზე ხდება ყველაფერი ეს, მაგრამ თუ აღნიშნული ომი (და არანაირი კონფლიქტი) თვეები გაგრძელდება, ზუსტად ისე მივეჩვევით სტატისტიკური მონაცემების კითხვას, როგორც ამას კოვიდის შემთხვევაში მივეჩვიეთ – დაინფიცირდა ამდენი, გარდაიცვალა იმდენი... მერე იქნება – დაიჭრა ამდენი, გარდაიცვალა იმდენი და... არც არაფერი. მსოფლიოს უდიდესი, უმდიდრესი და ყველაზე კარგად შეიარაღებული სახელმწიფოები ვერ ახერხებენ ომის შეჩერებას. ისინი თითქოს რაღაცას ელიან, რაღაცაზე თავს იკავებენ და არ აღიარებენ, რომ ეს მესამე მსოფლიო ომის გარიჟრაჟია. ჰო, როცა მსოფლიოს უდიდესი ქვეყანა ცდილობს დაიპყროს ევროპის უდიდესი ქვეყანა, როცა პოტენციურად, ომში, პირდაპირ თუ ირიბად, ლამის 200 მილიონი ადამიანი მონაწილეობს, ეს მესამე მსოფლიო ომია. სწორედ ამდენ ადამიანს შეეხო ომი სხვადასხვა გზით – ზოგს სანქციებით, ზოგს ტყვიით, ზოგს სახლის დანგრევითა და ოჯახის წევრების დაღუპვით.

სამწუხაროდ, ომს, სიკვდილთან ერთად, სხვა უბედურებაც მოაქვს. ამ დროს იმდენად იმატებს კრიმინალი, რომ დანაშაულებს თვლაც არ აქვს. ამ დროს სამართალდამცავები, უბრალოდ, სტატისტიკას აწარმოებენ და თანაც მხოლოდ ისინი, რომლებიც განყოფილებებში ერთადერთი მიზნით არიან დატოვებულნი – პოლიციის შენობები არ გაძარცვონ და იქიდან იარაღის გარდა, სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია არ გაიტანონ. სამართალდამცავთა უდიდესი ნაწილი კი ბრძოლის წინა ხაზზეა და საკუთარ გამოცდილებას ქვეყანას ახმარს.

წინა უქმეებზე, საქართველოსკენ რუსეთის არაერთი მოქალაქე დაიძრა. მარნეულში, რუსთავში, გარდაბანში, დმანისსა და ბოლნისში უამრავი ადამიანი ეძებდა ბინას გასაქირავებლად და რუსი სტუმრებისთვის. ბინების ფასმაც მომენტალურად აიწია, რადგან მოთხოვნა მიწოდებაზე აშკარად მეტია. ქვემო ქართლზე ზეწოლა კი მარტივი მიზეზით აიხსნება – აქ კომპაქტურად არიან დასახლებულნი აზერბაიჯანელები ანუ ისინი, რომლებიც რუსეთში სამუშაოდ მიდიან, იქ ბიზნესიც აქვთ და შესაბამისად, არცთუ მცირე სამეგობრო წრე გააჩნიათ. შედარებისთვის გეტყვით, რომ რუსთავში, სამოთახიანი ბინის ქირაობა 400-500 ლარად შეიძლებოდა, ახლა კი ფასი 1000 ლარიდან იწყება და ესეც იმ შემთხვევაში, თუ გაგიმართლებს. გადაჭრით შეგვიძლია იმის თქმა, რომ მიმდინარე კვირის ბოლომდე, საქართველოში, მინიმუმ, პასპორტის მქონე 30 000 რუსეთის მოქალაქე შემოვა და ასევე, დაბეჯითებით ვიტყვით, რომ აუცილებლად იქნება შემთხვევები, როცა მათ ქუჩაში, წარმომავლობის გამო, მინიმუმ, სიტყვიერ შეურაცხყოფას მიაყენებენ. მანამდე კი...

„თავიდან გავრცელდა ხმა, რომ რუსების უმრავლესობა აფხაზეთში უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ აქ არსებული სიტუაციის გამო, არ გარისკეს. შეიძლება აქ ოფიციალური ომი არაა, მაგრამ ზუსტად იგივე სიტუაციაა, რაც საქართველოში, 90-იანებში იყო – საძმოები, ბანდები, ყოველ მეორეს იარაღი ჰკიდია. ამიტომ აირჩიეს საქართველო“, – ეს აფხაზეთში მყოფმა ქართველმა გვიამბო, რომელიც იქ თავს, სწორედ კრიმინალით ირჩენს.

იგივე ხდება სამაჩაბლოშიც ანუ რუსეთის მოქალაქეებს რუსეთისვე აღიარებულ სეპარატისტულ რეგიონებში წასვლა არ სურთ. ისინი არ მიდიან ჩეჩნეთშიც კი, სადაც თითქოს ყველასა და ყველაფერს რამზან კადიროვი აკონტროლებს, მაგრამ ისე ჩანს, უსაფრთხოდ თავს ვერც იქ გრძნობენ. რა გამოდის?! ყველაფრის მიუხედავად, რუსეთის რიგით მოქალაქეებს ყველაზე უსაფრთხოდ კვლავ საქართველო მიაჩნიათ და მედალს ორი მხარე აქვს – ეს კარგიცაა და ცუდიც. ცხადია, უახლოესი წლების განმავლობაში, როცა ომი დასრულდება, რუსეთის მოქალაქეებისთვის უკრაინაში ჩასვლა უსაფრთხო ნამდვილად არ იქნება, აი, საქართველოში კი...

საქართველოს მილიონამდე მოქალაქე ცხოვრობს რუსეთში და იმის მიუხედავად, რომ მათ აბსოლუტურ უმრავლესობას სწორედ რუსული პასპორტები აქვთ, საქართველოში უამრავი ნათესავი ჰყავთ და საქართველოშიც ხშირად ჩამოდიან. რუსი მეგობრებისთვის ისინიც ეძებენ ბინებს საქართველოში და არცთუ იშვიათად, საკუთარ სახლებსაც სთავაზობენ.

ასეა თუ ისე, ზუსტად ერთ კვირაში, რუსეთის რამდენიმე ათეული ათასი მოქალაქე რომ დაგვემატება, ცხადია. ვიღაცები ამბობენ, შესაძლოა, ეს ქართული ეკონომიკისთვის იყოს კარგი, რადგან ისინი, პრაქტიკულად, უცხოელი ინვესტორების როლს შეასრულებენო, მაგრამ ძალიან ძნელია დაიჯერო, რომ რუსეთი რაღაც კარგს გააკეთებს საქართველოსთვის.

მეორე მხრივ, რიგით მოქალაქეს, რომელიც, ეგებ, მართლაც პუტინს გამოექცა, შესაძლოა, აქ იმაზე მეტი მოხვდეს, ვიდრე სამშობლოში დარჩენის შემთხვევაში. ყველას ერთ ქვაბში მოხარშვა ძალიან ძნელია, მაგრამ...

რუსეთის მოქალაქეების ჩამოსვლით, კრიმინალი აქაც მოიმატებს და მოიმატებს სწორედ რუსეთის მოქალაქეების ძარცვა-ქურდობის ხარჯზე. ქართველი კრიმინალები ხომ კარგად ხვდებიან, რომ ჩამოსულთა უმრავლესობას რაც გააჩნია, ყველაფერი თან ექნება და... რუსეთის მოქალაქეთა შემოდინება სამართალდამცავებსაც უდიდეს თავის ტკივილად ექცევათ.

ბათო ჯაფარიძე

ბელორუსელმა ქალმა თბილისში თავი მოიკლა

აფერა – სიტყვა, რომელიც კრიმინალურ სამყაროში კარგად არის ნაცნობი და რაც მთავარია, ე.წ. აფერისტების კასტა ცალკე განხილვის თემაა. იშვიათად, მაგრამ მათ შორის ისეთებიც გამოერევიან, სამართალდამცავები წლების განმავლობაში რომ დასდევენ და ცდილობენ, რამეში გამოიჭირონ, თუმცა ამის გაკეთება ძალიან ჭირს. მათ ფანტაზიას საზღვარი არ აქვს და შესაძლოა, ჩახლართულ კომბინაციებში ისე დაიკარგოს გამოცდილი გამომძიებელიც კი, რომ თავი და ბოლო ვერ გაიგოს.

საქართველოს მორბენალთა ნაკრების წევრი, საბჭოთა კავშირის ნაკრებში წევრობის კანდიდატი, ახალგაზრდა ბიჭი კუს ტბის მიმდებარედ დილის გარბენს ასრულებდა, როცა მაღალ ბალახში მამაკაცის თავი დაინახა. მივიდა, პულსი გაუსინჯა და ტელეფონის უახლოესი ჯიხურისკენ გაიქცა. იმის მიუხედავად, რომ სპორტსმენი დარწმუნებული იყო, მამაკაცი გარდაცვლილი გახლდათ, ჯერ მაინც სასწრაფოში დარეკა, შემდეგ – მილიციაში. ბედის ირონიით, სასწრაფოს მილიციამ მიასწრო და... მამაკაცი ფეხზე წამოაყენა. ის ცოცხალი იყო, თუმცა სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, ისევ დაეცა და სასწრაფოც მოვიდა. ექიმებმა მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს და ერთმნიშვნელოვნად თქვეს – კომაშია და გადარჩენის მინიმალური შანსი აქვსო. ამის მიზეზად კი კეფაში ბლაგვი საგნით მიყენებულ მძიმე დარტყმას ასახელებდნენ, რომელმაც კაპილარები დააზიანა.

ექიმები იმასაც ვარაუდობდნენ, კაცს გულიც გაუჩერდა ცოტა ხნის განმავლობაში, მაგრამ როცა სპორტსმენი შეეხო და გადააბრუნა, ამუშავდაო. ასე იყო თუ ისე, სამართალდამცავებს დამნაშავე უნდა ეძებნათ, კაცი, რომელმაც მეორე სასიკვდილოდ გაიმეტა.

რა თქმა უნდა, პირველ რიგში, დაშავებულის ვინაობა დაადგინეს, რაც რთული არ იყო. მას ჯიბეში საფულეც ედო და პასპორტიც. ისიც გაირკვა, რომ ქორწინებაზე ჰქონდა განაცხადი შეტანილი და ერთ თვეში უნდა ექორწინა. გაიგეს მისი საცოლის ვინაობაც, თუმცა... ის გარდაცვლილი გახლდათ.

„გოგონა აივნიდან გადმოვარდა. ის მეზობლებმა დაინახეს აივანზე, მოულოდნელად ფეხი აუცურდა და მეოთხე სართულიდან ასფალტზე დაეცა. გოგონა ადგილზე გარდაიცვალა, ბინა კი ნაქირავები ჰქონდა“, – ეწერა უბნის რწმუნებულის პატაკში.

საოცარი ის იყო, რომ გოგოს გასვენებაში, პრაქტიკულად, მხოლოდ მისი საქმრო და საქმროს სამეგობრო იმყოფებოდა ანუ მისი ნათესავები არ ჩამოვიდნენ და როგორც გაირკვა, ამას მარტივი მიზეზი ჰქონდა – ის ბავშვთა სახლში იყო გაზრდილი და ნათესავები, უბრალოდ, არ ჰყავდა, ორიოდე მეგობარი კი გასვენებას ესწრებოდა. რა თქმა უნდა, საქმეში იდო გოგოს თითის ანაბეჭდები, რომელთა გადამოწმება კარტოთეკაში აზრად არავის მოუვიდა. სამაგიეროდ, ამჯერად გადაამოწმეს და გაოცებისგან პირი დააღეს. გარდაცვლილი გოგო ოთხჯერ ნასამართლევი გახლდათ, ოთხივეჯერ ქურდობისთვის და რაც მთავარია, ის არც ბავშვთა სახლში იყო გაზრდილი და არც – ქართველი ყოფილა, ბელორუსის მოქალაქე იყო და ოთხიდან ერთი „სროკი“ საქართველოშიც ჰქონდა მოხდილი. ეს იმას ნიშნავდა, რომ შესაძლოა, საქმე კრიმინალურ ისტორიასთან ჰქონოდათ, უფრო ზუსტად კი, გოგონამ სწორედ საქმრო გახვია კრიმინალურ ისტორიაში, რაც მისი მკვლელობის მცდელობით დასრულდა. გოგონას უბედური შემთხვევა კი უკვე დიდ კითხვის ნიშნებს ბადებდა, მაგრამ გადამოწმება შეუძლებელი იყო, რადგან არავითარი კვალი, უბრალოდ, აღარ არსებობდა, უბნის რწმუნებულმა კი საქმე მარტივად „გამოიძია“ და დახურა.

სამაგიეროდ, მოიძიეს ის მეზობლები, რომლებმაც დაინახეს, როგორ აუცურდა გოგოს აივანზე ფეხი და გაარკვიეს, რომ სინამდვილეში, არავის არაფერი დაუნახავს ანუ მათ უბნის რწმუნებულმა სთხოვა თუ აიძულა, ასე ეთქვათ და მათაც თქვეს – უპატრონო გოგოს ისტორიას მაინც არავინ გამოეკიდებაო. მერე რა, რომ უბნის რწმუნებულმა არც ყალბი პასპორტი გადაამოწმა, არც იმ ბავშვთა სახლში წავიდა, სადაც თითქოს გოგო გაიზარდა, ყველაფერი ორ საათში დაასრულა და პატაკი მაგიდაზე დადო.

გამომძიებლები ისევ დაზარალებულს მიუბრუნდნენ. ექიმები დაზუსტებით ვერ ამბობდნენ, მოვიდოდა თუ არა აზრზე მამაკაცი ან თუ მოვიდოდა, შეძლებდა თუ არა ნორმალურად აზროვნებას და ემახსოვრებოდა თუ არა რამე. სამაგიეროდ, მისი ბინის ჩხრეკისას, მილიციის თანამშრომლებმა რამდენიმე სურათი იპოვეს, რომელიც ერთსა და იმავე მამაკაცს ეკუთვნოდა და რაც მთავარია, ეს მამაკაცი მათთვის ძალიან კარგად იყო ცნობილი – ის ძველი კრიმინალი, ერთადერთხელ ნასამართლევი პირი იყო, თუმცა სხვადასხვა დროს, შვიდ საქმეზე გახლდათ ეჭვმიტანილი, მაგრამ ერთხელაც ვერ დაუმტკიცეს. შვიდივე საქმე თაღლითობის მუხლით იყო აღძრული, მაგრამ ის გისოსებს მიღმა ვეღარ გაისტუმრეს. რაც შეეხება სურათებს, როგორც ჩანს, მათ თავად დაზარალებული იღებდა შორიდან, თუმცა, სავარაუდოდ, კარგი ფოტოაპარატით. მოიკითხეს მის სამეგობროში და გაარკვიეს, რომ ერთ-ერთ მეგობარს ფოტოაპარატი მართლაც გამოართვა, თუმცა ერთი კვირის შემდეგ დაუბრუნა და უთხრა კიდეც, შიგნით ახალი ლენტი დევს, სულ ორი კადრია გადაღებულიო. იმ პერიოდში, სანამ ლენტი არ დაიცლებოდა, ფოტოაპარატიდან მისი ამოღება არ შეიძლებოდა, რადგან დანარჩენი ადგილები გაფუჭდებოდა და შესაძლებელი იყო, ფირი მთლიანად დაზიანებულიყო. სამართალდამცავებმა ფირი სპეციალისტს ამოაღებინეს და იმ ორ კადრზეც სწორედ ის კრიმინალი იყო გადაღებული.

გამოცდილმა მაძებრებმა იცოდნენ, რომ თუ ფოტოზე აღბეჭდილი კაცის წინააღმდეგ სერიოზული სამხილი არ ექნებოდათ, მას, უბრალოდ, ვერ დააკავებდნენ. ამის მიუხედავად, მასთან სახლში არაოფიციალური ვიზიტი გადაწყვიტეს და ესტუმრნენ კიდეც. კრიმინალმა დაუპატიჟებელი სტუმრები ძალიან მშვიდად მიიღო, დაზარალებული მამაკაცის ფოტოსაც დახედა, მხრები აიჩეჩა, წარმოდგენა არ მაქვს, ვინ არის და ალბათ, ჩემს ფოტოებს იმიტომ იღებდა, ძალიან ფოტოგენური სახე მაქვსო, თანაც მან სამართალდამცავებს შეახსენა, რომ არასდროს სხვისი სხეულის დაზიანებისა და მით უმეტეს მკვლელობის მცდელობის გამო, ეჭვმიტანილი არ ყოფილა ანუ სისხლიან საქმეებს ხელს არ ჰკიდებდა და ის თაღლითობებიც მილიციის გამოგონილ ამბებად მონათლა.

გამომძიებლები ერთ რამეში იქვე შეთანხმდნენ – მკვლელობის მცდელობისთვის ეს კაცი თავს მართლა არ გაიფუჭებდა, არ იყო იმ კალიბრის, ასე გაერისკა, აი, თაღლითობა, კი, ბატონო – ეს დარგი ხელოვნების დონეზე ჰყავდა აყვანილი.

როცა მაძებრები ბინიდან გამოდიოდნენ, მისაღებში, მაგიდაზე, თითქოს უყურადღებოდ დაგდებულ სურათს ჰკიდეს თვალი და გაშეშდნენ – სურათიდან გარდაცვლილი გოგონა იღიმოდა. რაღა თქმა უნდა, ფოტო მასპინძელს მაშინვე ცხვირწინ აუფრიალეს და მანაც დარდიანად თქვა, ეს ქალი ჩემი ცხოვრების სიყვარულია, უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა, იმდენად მძიმედ განვიცადე ეს ამბავი, რომ გულის შეტევით საავადმყოფოში ვიწექი, გასვენებასაც ვერ დავესწარი, ახლა მისი საფლავისთვის დიდი ქვა მაქვს შეკვეთილიო. სამართალდამცავებმა გადაამოწმეს და გაარკვიეს, რომ თაღლითი სწორედ იმ დროს იწვა საავადმყოფოში და მართლაც, გულის შეტევით, როცა გოგო გარდაიცვალა. ქვის შეკვეთის ამბავიც დადასტურდა და გამომძიებლები მიხვდნენ, საიდან ჰქონდა გოგოს ყალბი საბუთები, თუმცა ამ სამ ადამიანს ერთად ვერ კრავდნენ – დაზარალებულს, თაღლითს და გარდაცვლილ გოგონას. საბოლოო ჯამში, თაღლითი კრიმინალის მძღოლის დაკითხვა გადაწყდა. დიახ, მას მძღოლი ჰყავდა, რომელიც არაოფიციალური იყო და ასევე, არაოფიციალურად მისი დაცვის ფუნქციებსაც ითავსებდა.

საქმე ის გახლდათ, რომ ამ კაცის შვილი ციხეში სასჯელს იხდიდა ანუ მილიციას მასთან შეეძლო, სწორედ შვილის აწმყოთი და მომავლით ევაჭრა. ჰო, ასე ადრეც ხდებოდა და თუ გგონიათ, ახლა არ ხდება, ძალიან ცდებით.

„მე ბევრი არაფერი ვიცი. ეს კაცი მოვიდა და მთხრა, შენი უფროსი მოკალი და 10 ათას მანეთს მოგცემო. კი გამეცინა, მაგრამ მერე ვუთხარი, მე მკვლელი არ ვარ, ქილერს გიშოვი და ის მოაგვარებს ამ საქმეს-მეთქი. ჩემს მეგობარს ვუთხარი, ერთი შტერი ქილერს ეძებს, ფული გამოართვი, გავიყოთ და მერე შენ ცოტა ხანს დაიკარგე-თქო. ჰოდა, ისინი ერთმანეთს დავაკავშირე, მაგრამ მერე ჩემი მეგობარიც გაქრა, ესეც არ დამკავშირებია. არავის მოკვლა არც მინდოდა, არც ვაპირებდი, ერთგვარი ფულის შოვნა კი იყო, შემკვეთი მილიციაში ვერ წავიდოდა და მკვლელი რომ ყოფილიყო, თავად გააკეთებდა საქმეს. ჩემი უფროსის მოკვლა რისთვის სურდა, არ ვიცი. რაც შეეხება გარდაცვლილ გოგოს, ის სამი წელია, მასთან ცხოვრობდა და როცა მისი სიკვდილის შესახებ გაიგო, მართლაც, გულის შეტევა დაემართა“, – განაცხადა მძღოლმა.

„ცრუ ქილერის“ ძებნამ ბევრი დრო არ წაიღო. ის სომხეთში იყო გადასული, სასტუმროში ცხოვრობდა და თან როგორ – ორ ქალთან ერთად. როგორც სასტუმროს პერსონალი ამბობდა, ფულს კი არ ხარჯავდა, ჰაერში ყრიდა და მის ნებისმიერ სურვილს ასრულებდნენ, თუმცა ნირვანა დასრულდა – ის ქართველმა სამართალდამცავებმა დააკავეს.

„ამ კაცთან ჩემმა მეგობარმა დამაკავშირა, სწორედ ჩემი მეგობრის უფროსის მკვლელობა უნდოდა. სურათები მანახა, მისი საცოლე იმ კაცს გაუტაცია, დამწყვდეული ჰყავდა, მართლაც, გოგონა გაკოჭილი იყო და პირში რაღაც ნაჭერი ედო. მერე ეს გოგო მომკვდარა, ჩემი შემკვეთი ამბობდა, გამტაცებელმა მოკლაო. ჰოდა, იმისთვის მისაცემი 10 ათასი მანეთი მე მომცა. რისი მომკვლელი ვიყავი, მაშინვე აქეთ წამოსვლა დავაპირე, მაგრამ შემთხვევით, ის კაცი შემხვდა, ჩემოდნებით რომ დამინახა, მიხვდა, მივდიოდი და ხელჩართული ჩხუბი დამიწყო. ხელში ქვა მომხვდა, კეფაში ჩავარტყი, მაგრამ ზუსტად ვიცი, არ მომიკლავს“, – განაცხადა დაკავებულმა.

სამართალდამცავები ისევ თაღლითთან მივიდნენ და ისიც იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ გოგონამ ბიჭს თავი მისი მითითებით შეაყვარა, შემდეგ გატაცების ინსცენირება მოაწყვეს და როცა საქმე ფულის გადახდაზე მიდგა, გოგონამ მოულოდნელად დაურეკა და უთხრა, რომ ის ბიჭი მართლა უყვარდა და ამიტომ, ყველაფერს მოუყვებოდა. თაღლითი გაბრაზდა და დაემუქრა, გოგომ კი როგორც ჩანს, უბრალოდ, თავი მოიკლა და ამით საყვარელი კაცი არ მოატყუა.

კომაში ჩავარდნილი ახალგაზრდა ორი თვის შემდეგ გარდაიცვალა, თაღლითს სასამართლომ 3 წელზე მეტი ვერ მიუსაჯა, ხოლო „ცრუ ქილერს“ 7 წელი ერგო.

ბათო ჯაფარიძე

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, დამოუკიდებლობა გაზეთებმაც მოიპოვეს და არაერთი ახალი გაზეთი გამოჩნდა. ამავდროულად, წიგნების დახლებზე ახალი მწერლების ნაწარმოებებმაც იმატა. წიგნები, რომლებსაც სტამბები ბეჭდავდნენ და შემდეგ უკვე მწერლის თავში საცემი იყო გასაღება, ხშირად ბანალურ ისტორიებზე აგებული სიუჟეტებით იყო სავსე. რა თქმა უნდა, ისინი კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებებთან ახლოსაც ვერ მივიდოდნენ, მაგრამ თავისი მკითხველი ჰყავდათ. დაახლოებით, ისე, კომუნისტების ზეობის პერიოდში, „მგლის ბილიკი“ და „შავი ვარდი“ რომ უნდა წაგეკითხა აუცილებლად.

ცნობილი მწერალი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს

რატომ იძია სტამბის მუშამ შური გახმაურებული რომანის ავტორზე

ამ ფონზე, არსებობდა ნაწარმოებები, რომლებსაც საზოგადოება აიტაცებდა ხოლმე, წიგნები ხელიდან ხელში გადადიოდა, გავიდოდა ნახევარი წელი და აღარც წიგნი ახსოვდა ვინმეს და აღარც – მწერალი. მკითხველს ან ახალი კუმირი ჰყავდა, ან ისევ, ძველებს უბრუნდებოდა. ამიტომ, როცა იმ დროის ერთ-ერთი ასეთი მწერალი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს, სამართალდამცავები ძალიან შეწუხდნენ. მკვლელობა აუცილებლად რეზონანსული გახდებოდა, რომ არა ერთი, იმჟამინდელი მილიციისთვის მაშველ რგოლად გამხდარი ფაქტი – გარდაცვლილს შაქარი ჰქონდა და ინსულინის დოზებს იკეთებდა. გვამის გვერდით ინსულინის შპრიცი ეგდო, რამაც გამომძიებლებს შესაძლებლობა მისცა ეთქვათ, რომ მწერალმა დოზა ვერ განსაზღვრა, სახელდახელოდ მოგროვილმა გარდაცვლილის მეგობრებმა ეს ვერსია დაიჯერეს და ქალაქშიც ასე გავრცელდა, თუმცა ძალოვნებმა კარგად იცოდნენ – ეს იყო მკვლელობა, რადგან ექსპერტიზის გარეშეც ჩანდა, რომ გარდაცვლილს მკვლელობამდე ორივე ხელი შეკრული ჰქონდა, ინსულინი კი კანქვეშ კი არა, ვენაში ჰქონდა გაკეთებული, რამაც სიკვდილი გამოიწვია. დიაბეტით დაავადებულ ადამიანს ასეთი შეცდომა, უბრალოდ, არ მოუვიდოდა.

„სამწუხაროდ, არ იყო კვალი, რომელიც მკვლელზე მიგვანიშნებდა. ერთადერთი, გვამთან ახლოს, წითელი ძაფის ნაწილაკები იპოვეს ექსპერტებმა და ივარაუდეს, რომ შესაძლოა, ეს ხელთათმანის ძაფი ყოფილიყო. ჯერ ერთი, გარეთ ციოდა და დამნაშავე კვალის დაფარვის მიზნით, ხელთათმანებს ჩაიცვამდა. ჰო, წითელი ნაწილაკები შპრიცზეც აღმოჩნდა, რამაც ხელთათმანთან დაკავშირებით ეჭვები გააძლიერა. ერთი ეგ იყო, ვერავინ ხვდებოდა, როგორ გაკოჭა უბრძოლველად მკვლელმა მწერალი, რომელიც ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი იყო, ოთახში კი წინააღმდეგობის გაწევის კვალი არ ჩანდა“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

„წიგნებს მე და ჩემი ქმარი ერთობლივად ვწერდით, ისტორიებსაც ერთად ვიგონებდით. ახლაც, კრიმინალური ისტორიის ოთხტომეულზე ვმუშაობდით, სამი დაიბეჭდა, მეოთხე ახლა უნდა დასრულებულიყო და შედეგად რა მივიღეთ? ის სწორედ ფინალზე მუშაობდა, სადაც კვანძი უნდა გახსნილიყო და ამით ეს ისტორია სრულდებოდა. ახალი წიგნების იდეები გვქონდა, ახლა კი ყველაფერი დასრულდა“,-ეს ჩვენება გარდაცვლილის ცოლმა მისცა და ვერაფრით ახსნა, რის გამო შეიძლებოდა მოეკლათ მისი მეუღლე.

სამაგიეროდ, გარდაცვლილის მეგობრებმა თქვეს, რომ შესაძლოა, მკვლელობაში გარეული... წიგნის გამომცემელი ანუ სტამბის პატრონი ყოფილიყო. საქმე ის გახლდათ, რომ ეს იყო ბოლო წიგნი, რომელსაც მწერალი ამ სტამბაში ბეჭდავდა, მერე კი წასვლას აპირებდა სხვა გამომცემლობაში, რადგან იქ, სხვაგან, უკეთესი ხარისხის აპარატურა ჰქონდათ, რაც წიგნის ხარისხზე ავტომატურად აისახებოდა.

გამომძიებლებიც სწორედ სტამბის დირექტორთან მივიდნენ.

„მისი მოკვლის არანაირი საფუძველი და სურვილი არ მქონდა. ჯერ ერთი, მე ვიყიდე დიდი რაოდენობით ქაღალდი, ვალად დავიდე რამდენიმე ათასი დოლარი, რომლითაც სწორედ ის, მეოთხე ტომი უნდა დამებეჭდა და ამ დროს მწერლის მკვლელობა ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა. იმედი მაქვს, მისი ცოლი შეძლებს რომანის დასრულებას, თორემ ძალიან ცუდ დღეში აღმოვჩნდები“, – განაცხადა სტამბის პატრონმა.

მიუხედავად ამ ჩვენებისა, ძალოვნებმა ისიც გაარკვიეს, რომ სტამბის დირექტორი მწერლის ცოლის საყვარელი იყო და შესაძლოა, ამ მკვლელობით ორი კურდღელი დაიჭირა – საყვარელ ქალს შეინარჩუნებდა და თან არც სხვა სტამბაში გაუშვებდა. შესაძლოა, მხოლოდ ცოლის ნამუშევარი რომანები ისეთივე პოპულარული არ ყოფილიყო, მაგრამ პურის ფულს აშკარად მოიტანდა. სწორედ ეს იყო ერთადერთი მიზეზი, რის გამოც, სტამბის პატრონი, ყოველი შემთხვევისთვის, 48 საათით დააკავეს, მაგრამ ყველამ იცოდა, მის წინააღმდეგ ხელჩასაჭიდ სამხილს თუ არ მოძებნიდნენ, გაშვება მოუწევდათ. სამხილი კი, უბრალოდ, არ იყო.

მწერლის გასვენებას არაერთი ცნობილი ადამიანი დაესწრო. ყველა აღნიშნავდა, რომ ქართულმა საზოგადოებამ ნიჭიერი ადამიანი დაკარგა. გასვენებაში იყო სტამბის დირექტორიც, რომელიც უკვე გამოშვებული ჰყავდათ და ხალხში გაბნეული სამართალდამცავებიც ამაოდ ცდილობდნენ ამბის გარკვევას, ყველამ იცოდა, რომ ის ინსულინის არასწორი დოზის გამო მოკვდა. ასე განსაჯეთ, გასვენება იმჟამინდელმა პირველმა არხმაც კი გადაიღო და საღამოს „მოამბეში“, ნახევარწუთიანი სიუჟეტიც უძღვნა. საბედნიეროდ, მკვლელობაზე იქაც არაფერი თქმულა.

„ამ საქმეს თავი და ბოლო ვერ გავუგეთ, თუმცა გასვენებიდან ორ დღეში, თავს უკვე გარდაცვლილის მეუღლეს დაესხნენ. სადარბაზოში მისი მოკვლა დანით სცადეს, თუმცა ბედად, მეზობლის ბიჭები ჩამოდიოდნენ კიბეზე და მათ დანახვისას, თავდამსხმელი გაიქცა. ადგილზე მისულებმა, თოვლში ვნახეთ მკაფიო ნაკვალევი და დავასკვენით, რომ შუა ზამთარში, მას კედები ეცვა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

იმ პერიოდში ბევრს უჭირდა და შესაბამისად, ზამთარში კედები კი არა, ზოგი ზაფხულის სანდლებით დადიოდა. ამიტომ, ერთი შეხედვით, ეს არ იყო განსაკუთრებული ნიშანი, თუმცა ერთ-ერთი ოპერმუშაკი ამბობდა, კედებითა და წითელი ნაჭრის ხელთათმანებიანი კაცი, ამ საქმის წარმოების დროს, სადღაც ვნახე, მაგრამ ადგილს ვერაფრით ვიხსენებო. გარდაცვლილის მეუღლესაც ჰკითხეს, ხომ არ იცნობდა ვინმეს, ვინც კედებითა და წითელი ხელთათმანებით დადიოდა, მაგრამ მან ასეთი ვერავინ გაიხსენა. რაც მთავარია, ქალმა სიბნელეში ვერც თავდამსხმელის სახე გაარჩია და გამოძიებას ვერაფრით დაეხმარა.

ერთი ეგ იყო, სახლიდან გარეთ არ გამოდიოდა და მისთვის საკვები სტამბის დირექტორს მიჰქონდა. ასე გავიდა კიდევ ერთი კვირა და მოულოდნელად, ოპერმუშაკი გამომძიებლის კაბინეტში ყვირილით შევარდა – „გავიხსენე, გავიხსენე!“ მისი თქმით, წითელი ხელთათმანებითა და კედებით მამაკაცს იმ კადრში მოჰკრა თვალი, რომელიც პირველმა არხმა გადაიღო და ტელევიზიით გაუშვა. რა თქმა უნდა, მაშინ არც ინტერნეტი იყო, არც – ტელე-პროგრამების გადახვევა შეიძლებოდა ტელევიზორში, ამიტომ სამართალდამცავები ტელევიზიაში წავიდნენ და ჩანაწერი ამოიღეს. მართლაც, კადრში კარგად ჩანდა ადამიანი, რომელსაც კედები და წითელი ხელთათმანები ეცვა და ის სტამბის თანამშრომელი იყო. ჰო, იმ სტამბის, სადაც წიგნები იბეჭდებოდა. ოპერმუშაკებმა ის ბინაში აიყვანეს, ჩხრეკის შედეგად კი კედები და ხელთათმანები ამოიღეს. წითელი ნაჭერი დაემთხვა იმას, რომელიც მამაკაცის მკვლელობის ადგილზე ნახეს და დიდად არც მკვლელს დაუმალავს, რომ დანაშაული მან ჩაიდინა.

„მთელი ცხოვრება სტამბაში ვმუშაობ, ჩემს ხელში უამრავმა წიგნმა გაიარა, მაგრამ ყველაზე მეტად ამან დამიანტერესა. როცა გავიგე, რომ მეოთხე ტომით რომანი სრულდებოდა, ბევრი ვინერვიულე, არ მინდოდა დასრულებულიყო, სულ მინდოდა მეკითხა. ამიტომ, ავტორს მივაკითხე და ადამიანურად ვთხოვე, რომ ნაწარმოები გაეგრძელებინა, მაგრამ დაცინვის მეტი ვერაფერი მოვისმინე. მერე ყველაფერი ავტომატურად მოხდა, მოულოდნელად გავკოჭე და ინსულინი ვენაში გავუკეთე. დიდი დოზა იყო, მეგონა, დიდი დოზა მოკლავდა. თურმე, ინსულინი ვენაში არ შეიძლება და მცირეც მოუღებდა ბოლოს. შემდეგ მის მეუღლეზე გავბრაზდი, რომელმაც დაადასტურა, რომ რომანს მეოთხე ტომით დაასრულებდა და მისი მოკვლაც განვიზრახე, არ გამომივიდა“, – აღიარა დაკავებულმა.

სასამართლომ მას 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მანამდე კი სამედიცინო დასკვნა დაიდო. იმის მიუხედავად, რომ სტამბის მუშას რაღაც გადახრები ჰქონდა, დანაშაულის ჩადენის მომენტში შერაცხადი იყო. მას ციხიდან გამოსვლა არ ეღირსა, რადგან ტუბერკულოზით დაავადდა და ციხეშივე გარდაიცვალა. პატიმრები ამბობდნენ, რომ ციხეში, მთელ დღეებს კთხვაში ატარებდა, თუმცა ყოველი წიგნის დასრულების შემდეგ ამბობდა, რომ უკეთესი ჰქონდა წაკითხული და სავარაუდოდ, იმ ოთხტომეულს გულისხმობდა, რომელმაც ციხის კარამდე მიიყვანა.

შანაი ბრუკის ოჯახი რაფაელ მურსაკუოვის ბოდიშს არ იღებს

ავსტრალიის მოქალაქის, შანაი ბრუკ ედვარდსის ოჯახი მკვლელობაში ბრალდებულის, რაფაელ მურსაკულოვის ბოდიშს არ იღებს და სასამართლოსგან მის უმკაცრესად დასჯას ითხოვს. როგორც ტაისონ ედვარდსი აცხადებს, ბრალდებულმა დანაშაული მას შემდეგ აღიარა, რაც ის, ფაქტობრივად, კუთხეში მიიმწყვდიეს, როცა სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და ყველა მტკიცებულება მის წინააღმდეგ მეტყველებდა.

შანაი ბრუკი ედვარდსის ძმა აცხადებს, რომ ბრალდებულის ბოდიშს ოჯახი არ იღებს. ედვარდსის თქმით, ისინი სასამართლოსგან რაფაელ მურსაკულოვის უმკაცრეს დასჯასა და უვადო პატიმრობის გამოყენებას ითხოვენ, რათა „გარეთ მკვლელები არ დადიოდნენ და შანაის ბედი სხვებმაც არ გაიზიარონ“.

ტაისონ ედვარდსი ლონდონიდან საქართველოში სპეციალურად, დის მკვლელობაში ბრალდებულის განაჩენზე დასასწრებად 8 მარტს, დილით ჩამოფრინდა. თბილისის საქალაქო სასამართლო შანაი ბრუკი ედვარდსის მკვლელობის საქმეზე განაჩენს დღეს, 9 მარტს გამოაცხადებს.

ბრალდებულმა რაფაელ მურსაკულოვმა გასულ სხდომაზე საბოლოო სიტყვით ისარგებლა და მოკლულის ოჯახს ბოდიში მოუხადა:

„არ ვარ ასეთი ადამიანი და არ ვყოფილვარ ასეთი ადამიანი, მე ჩემი თავი იმ დღეს ვერ გავაჩერე, ალბათ, იმ დღეს, ჩემში, ღმერთზე მეტი, ეშმაკი იყო, როცა ამ ქვეყნის შვილი ხარ, ასე არ უნდა შეგეშალოს და მე შემეშალა. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ მოხდა. მე ამ ქვეყანას, ხალხს ვუხდი ბოდიშს, იმ ადამიანის ოჯახს ვუხდი ბოდიშს, ეს არის დანაკლისი, რასაც ვერ ავანაზღაურებ. უბრალოდ, მაპატიეთ. რაც არ უნდა გამოიტანოთ განაჩენი, ხმას არ ამოვიღებ, არ გავასაჩივრებ“, – განაცხადა მურსაკულოვმა.

სახელმწიფო ბრალდების განმარტებით, შანაი ბრუკ ედვარდსს, დანით 13 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, მათგან 5 ყელის არეში, რაც მკვლელობის განზრახვას ამყარებს. პროკურორი გიორგი ქობულაძე განმარტავს, რომ მკვლელობის ჩადენის შემდეგ, რაფაელ მურსაკულოვმა ცხედარი გადამალა, ფოთლები დააყარა და მის დაწვას გეგმავდა. ქობულაძის თქმითვე, დანაშაულის ჩადენის მომენტში, ბრალდებული შერაცხადი იყო და ის სრულად აცნობიერებდა იმას, თუ რას სჩადიოდა.

ცნობისთვის, ავსტრალიის მოქალაქე შანაი ბრუკი ედვარდსი გასული წლის 30 ივლისს გაუჩინარდა. ახალგაზრდა ქალის ცხედარი მთაწმინდის ფერდზე 31 ივლისს იპოვეს. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამართალდამცავებმა რაფაელ მურსაკულოვი დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით (ყაჩაღობა, ესე იგი, თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით), 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით; ანგარებით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად, 16 წლიდან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტში, მიმდინარე წლის 1 მარტს, სოციალურ ქსელში, ერთ-ერთი მომხმარებლის მიერ გავრცელებულ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, კერძოდ, ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდებას, გამოძიება დაიწყო.

გამოძიებით დადგინდა, რომ 1989 წელს დაბადებულმა ს.ჯ-მ, სოციალურ ქსელში, მოქალაქეებს თბილისში, ინგოროყვას ქუჩაზე, მთავრობის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე, ინფრასტრუქტურის დაზიანებისკენ საჯაროდ მოუწოდა.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე პრიმა მუხლით დაიწყო. გამოძიების ფარგლებში, მოწოდების ავტორის ვინაობა დადგინდა და გამოკითხვის მიზნით, პოლიციის შესაბამის დანაყოფშია დაბარებული.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც მართლწესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უწყება, მოუწოდებს ყველა მოქალაქეს, პოლიტიკურ ლიდერებს, შეკრებისა და მანიფესტაციების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, დაიცვან მართლწესრიგი და დაემორჩილონ პოლიციის კანონიერ მოთხოვნებს.

კანონდარღვევის ნებისმიერი ფაქტი, პოლიციის მხრიდან, მყისიერად იქნება აღკვეთილი და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება მოჰყვება.

საქართველოს პროკურატურამ უკრაინელი ბავშვებისთვის ჰუმანიტარული ტვირთი გაგზავნა

საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებმა, უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული ბავშვების დასახმარებლად, უკრაინაში ჰუმანიტარული ტვირთი გაგზავნეს.

საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, ბავშვებისთვის ჰუმანიტარული დახმარების საგნების შერჩევა და შეძენა პროკურატურის წარმომადგენლების მიერ უკრაინულ მხარესთან აქტიური კონსულტაციის შედეგად განხორციელდა.

„ჰუმანიტარული ტვირთი სხვადასხვა დახმარების საგნებს, კერძოდ, ჩვილი ბავშვის საკვებს, ბავშვის კვების აქსესუარებს, ტანსაცმელს, ჰიგიენურ საშუალებებსა და პირველადი საჭიროების სხვა ნივთებს მოიცავს.

საქართველოს პროკურატურა, უკრაინელი მოქალაქეების დასახმარებლად მიმდინარე ჰუმანიტარულ აქციაში საკუთარი წვლილის შეტანას მომავალშიც გააგრძელებს“, – აცხადებენ პროკურატურაში.

პროკურორი: „საბოლოო სიტყვაში გიგი უგულავამ, ფაქტობრივად, აღიარა ძალადობა“

გიგი უგულავამ საბოლოო სიტყვაში, ფაქტობრივად, აღიარა ძალადობა და ცდილობდა ძალადობის გამართლებას, – ამის შესახებ ოპოზიციონერი ლიდერის, გიგი უგულავას საქმის პროკურორმა ნათია გურულმა განაცხადა.

როგორც ის განმარტავს, ბრალდების მხარეს გამამტყუნებელი განაჩენის მოლოდინი აქვს:

„მტკიცებულებების გამოკვლევა დასრულდა ბრალდებულ გიორგი უგულავას სისხლის სამართლის საქმეზე. დღეს დაცვის მხარის დასკვნითი სიტყვა მოვისმინეთ, ასევე, ბრალდებულის საბოლოო სიტყვა. სასამართლო შეაფასებს მტკიცებულებებს და საბოლოო გადაწყვეტილებას 9 მარტს გამოგვიცხადებს. რაც შეეხება ბრალდებულის პოზიციას, მან საბოლოო სიტყვაში, ფაქტობრივად, აღიარა ძალადობა და ცდილობდა ძალადობის გამართლებას. საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით, უტყუარადაა დადასტურებული, რომ ფიზიკური ძალადობის ინიციატორი იყო გიორგი უგულავა და მან განახორციელა ძალადობა დაზარალებულის მიმართ. ბრალდების მხარეს გონივრული მოლოდინი აქვს, რომ სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს“, – განაცხადა გურულმა.

საქალაქო სასამართლოში ნიკა გვარამიას, კახაბერ დამენიასა და ზურაბ იაშვილის საქმეზე სასამართლო პროცესი გაიმართა

თბილისის საქალაქო სასამართლოში, „მთავარი არხის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას, კახაბერ დამენიასა და ზურაბ იაშვილის საქმეზე სასამართლო პროცესი გაიმართა.

პროცესზე დასკვნითი სიტყვა ნიკა გვარამიას ადვოკატმა, დიმიტრი საძაგლიშვილმა წარმოთქვა. შემდეგ პროცესზე კი ნიკა გვარამია საბოლოო სიტყვას წარმოსთქვამს, რის შემდეგაც, მხარეები ერთმანეთის რეპლიკებს მოისმენენ.

ცნობისთვის, 2020 წლის 6 სექტემბერს, მთავარმა პროკურატურამ „რუსთავი 2“-ის საქმეზე ბრალი ნიკა გვარამიას, ასევე, „რუსთავი 2“-ის ყოფილ ფინანსურ დირექტორს, კახა დამენიასა და „ინტერ მედია პლიუსის“ დირექტორს, ზურაბ იაშვილს წაუყენა.

„მზად ვარ, ბოლომდე შევაკლა თავი უკრაინას!“

ბათო ჯაფარიძე

უკრაინის რუსული ოკუპაციის მომხრე და მოწინააღმდეგე სპორტსმენები

მას შემდეგ, რაც წინა კვირას, ლამის ყველა სპორტულმა ორგანიზაციამ რუს სპორტსმენებს კარიერა დაუსამარა და შესაბამისად, რუსული კლუბები თუ ნაკრებები საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ, სოციალურ ქსელში ნამდვილი ომი გაიმართა. არაერთ რუს სპორტსმენს მეგობრები მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებენ. ჯერჯერობით, ერთი რუსი სპორტსმენიც კი არ ამბობს ღიად, რომ თავისი ქვეყნის მოქმედებებს არ ამართლებს და შეფარვით წერს, ომი ცუდიაო. არიან ისეთებიც, რომლებიც ღია აგრესიაზე გადადიან და მათ შორისაა, ქართველი თინა კანდელაკიც, რომელიც წლებია, სპორტული არხის – „მატჩ ტვ“ გენერალური დირექტორია, თუმცა სანამ თინას ამბავს გეტყვით, ვიტალი კლიჩკოზე ვთქვათ. კიევის მერმა აუქციონზე თავისი ოლიმპიური ოქროს მედალი გაიტანა გასაყიდად და განაცხადა, რომ მიღებულ თანხას მთლიანად უკრაინის დახმარების ფონდში გადარიცხავს. მყიდველმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა არჩია და მილიონი დოლარი გადაიხადა, მედალი მფლობელს დაუბრუნა და აღნიშნა, რომ კლიჩკოს მედალი უკრაინაში უნდა დარჩეს.

რაც შეეხება კანდელაკს, ამ რთულ პერიოდში მინდა, რომ რუს სპორტსმენებს სოლიდარობა გამოვუცხადო.

„სპორტი პოლიტიკიდან გასულია“ – ამ სლოგანს საერთაშორისო ოლიმიურმა კომიტეტმა უღალატა. უკვე 6 წელია, სპორტულ არხს ვხელმძღვანელობ, ამიტომ ყველაფერ ამას მშვიდად ვერ ვუყურებ. ოდესმე, ყველაფერი დაწყნარდება და სპორტი ისევ დაიწყებს გაერთიანებას. გარე სამყაროსთან ინტეგრირებას, სწორედ სპორტსმენები დაიწყებენ. მჯერა, რომ ისინი უფრო მეტნი იქნებიან, ვიდრე, უბრალოდ, სპორტმენები“, – განაცხადა მან.

რა თქმა უნდა, თინას მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ და განსაკუთრებით ქართულ წრეებში, ის ძალიან, ძალიან ბევრმა გააკრიტიკა (რბილად ნათქვამია), თუმცა გვეეჭვება, ამ კრიტიკას კანდელაკი შეეწუხებინა. მისი ქონება 60 მილიონ დოლარადაა შეფასებული და სავარაუდოდ, სწორედ ამ ქონებას უფრთხილდება. ამ განცხადების გარდა, კანდელაკმა რუსეთის საომარ ქმედებებს ღიად დაუჭირა მხარი. უკრაინის გენერალურმა პროკურორმა, ირინა ვენედიკტოვამ განაცხადა, თინა კანდელაკზე საერთაშორისო ძებნაში გამოცხადების პროცესი დაიწყეს, რადგან მან ღიად დაუჭირა მხარი უკრაინაში რუსეთის არმიის ინტერვენციას. კანდელაკი დანაშაულში ეჭვმიტანილის სტატუსის მქონეა, რუსეთის საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში, დააკავებენ და უკრაინაში მის ექტრადირებას განახორციელებენ.

რაც შეეხება დანარჩენებს:

სერგეი ბუბკა (უკრაინის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, მსოფლიოს ათგზის ჩემპიონი, მსოფლიოს 35-გზის რეკორდსმენი, ოლიმპიური და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი): **„ძვირფასო უკრაინელებო, ოლიმპიურმა ოჯახმა კარგად გაიგო ჩვენი ტკივილის შესახებ. როგორც ნებისმიერი უკრაინელი, მეც ვერ ვიძინებ ღამ-ღამობით. ყველაფერს გავაკეთებ, რაც პირადად შემიძლია, რომ დავიცვა ჩემი სამშობლო, გამოვიყენებ ჩემს ყველა კავშირს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ომი უნდა დასრულდეს და მშვიდობამ გაიმარჯვოს. მთელი გულით მიყვარს უკრაინა. ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ“.**

სხვათა შორის, ბუბკას ძეგლი დონეცკში დგას და ჯერჯერობით, მას ჭურვი არ მოხვედრია.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან უკრაინაში სამშობლოს დასაცავად არაერთი სპორტსმენი დაბრუნდა. უკრაინელმა გულშემატკივრებმა ხმამაღლა გამოხატეს უკმაყოფილება, რომ სამშობლოში საბრძოლველად არ წავიდა „მანჩესტერ სიტის“ ნახევარმცველი, ალეკსანდრ ზინჩენკო. უკმაყოფილების ტალღა იმდენად დიდი იყო, რომ ზინჩენკო იძულებული გახდა, ახსნა-განმარტება გაეკეთებინა და რამდენად მისაღებია მისი პასუხი, თავად განსაჯეთ. აი, რა თქვა მან:

„გულრწფელი ვიქნები... რომ არა ჩემი ქალიშვილი და ოჯახი, ახლა, მეც იქ, ომში ვიქნებოდი. ძალიან ვამაყობ, რომ უკრაინელი ვარ და სიცოცხლის ბოლომდე ასე ვიქნები. ძალიან კარგად ვიცნობ ჩემს ხალხს, ჩემს საშობლოს... როდესაც მათ ვუყურებ, თუ როგორ იბრძვიან სიცოცხლისთვის... ჩემი ხალხის მენტალიტეტი ასეთია – სჯობს დაიხოცონ, ვიდრე დანებდნენ! ძალიან ბევრ ადამიანს ვესაუბრე, ვინც ჩვენს მხარეზეა და მათ მითხრეს, რომ ის, რასაც რუსული ტელევიზია გვაჩვენებს, სასაცილოა. ჩემი მისიაა, ვაჩვენო მთელ მსოფლიოს, თუ რა ხდება ამ მომენტში, რეალურად“...

დასასრული მე-14 გვერდზე

„მზად ვარ, ბოლომდე შევაკლა თავი უკრაინას!“

სამწუხაროდ, უკრაინის ომი დანაკარგების გარეშე არ მიდის და ხარკოვში ომს, საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და დანიური „კოპენჰაგენის“ მცველის, დავით ხოჭოლავას სიმამრი ემსხვერპლა. აღნიშნული ჩვენთან თავად ფეხბურთელმაც დაადასტურა და აღნიშნა, რომ დაკარგა ადამიანი, რომელიც გვერდში მამასავით ედგა.

კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაატყდა თავს უკრაინის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს, ანატოლი ტიმოშჩუკს. ის ამჟამად სანკტ-პეტერბურგის „ზენიტში“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მუშაობს, უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე განცხადება არ გაუკეთებია და არც რუსეთი დაუტოვებია.

მისგან განსხვავებით, სხვა უკრაინელებმა, ანდრეი ვორონინმა („დინამო“ მოსკოვის მთავარი მწვრთნელის ასისტენტი) და იაროსლავ რაკიცკიმ („ზენიტის“ ფეხბურთელი) რუსეთი და რუსული კლუბები პროტესტის ნიშნად უკვე დატოვეს. ტიმოშჩუკს ყოფილმა თანაგუნდელებმა უკვე ღიად მიმართეს:

იევჰენ ლევჩენკო: „ტოლია, ასე როგორ შეიძლება? შენ უკრაინელი ხარ. როგორ შეგიძლია, ჩუმად იყო და მანდ მუშაობას აგრძელებდე? ჩვენ ერთად ვთამაშობდით უკრაინის ნაკრებში, მის ფორმას ამაყად ვატარებდით, ერთად ვმღეროდით ჰიმნს, ერთად ვიგებდით და ვაგებდით. ახლა კი, უბრალოდ, მშვიდად და ჩუმად ხარ? ტოლია, ასე ცხოვრებას როგორ აპირებ?!“

ალეკსანდრ ალიევი: „ტომოშჩუკ! შენ სად დაიკარგე? ენა უკანალში შეიყავი, თუ ის ვინმეს უკანალშია? ჩვენო პატრიოტო, უკრაინელო. ლოყებზე დროშას როცა იხატავდი, „პონტაობდი“?! პენისისებრო პატრიოტო. მე შენ მამაკაცად გიცნობდი და დარჩი მამაკაცად. მე ვიცი, რომ შენ ამ ქვეყნის პატრიოტი ხარ. დარწმუნებული ვარ, ჩვენ აქ, ყველაფერი კარგად გვექნება“.

არ გეგონოთ, რომ ომს მხოლოდ პროტესტს უცხადებენ. აგერ, რუსმა ტანმოვარჯიშემ მსოფლიო გააღიზიანა, მაგრამ ამის მიუხედავად, პოდიუმზე ბედნიერი სახით იდგა. მოკლედ, ყატარის დედაქალაქ დოჰაში, სპორტულ ტანვარჯიშში, მსოფლიო თასი გაიმართა. რუსმა ტანმოვარჯიშე ივან კულიაკმა ასპარეზობა მესამე ადგილზე დაასრულა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. დაჯილდოების ცერემონიისას, მან მაისურზე ასო – Z დაიწერა სწორედ იმ ადგილას, სადაც რუსული დროშა უნდა ყოფილიყო. მოგეხსენებათ, ასო – Z-ია გამოსახული რუსულ ტანკებსა და სამხედრო ტექნიკაზე, რომლითაც ამჟამად უკრაინას უტევენ. კულიაკის ქმედება ორმაგად გამაღიზიანებელი იყო, რადგან მის გვერდით, პოდიუმზე, უკრაინელი სპორტსმენი ილია კოვტუნი იდგა, რომელიც ოქროს მედლის მფლობელი გახდა. ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციამ რუს და ბელორუს სპორტსმენებს დროშისა და ჰიმნის გამოყენება აუკრძალა, მაგრამ საერთაშორისო ტურნირებზე ისინი მაინც დაუშვა.

სამშობლოს სადარაჯოზე დგას ცნობილი უკრაინელი ჩოგბურთელი, სერგეი სტახოვსკი. რამდენიმე დღის წინ, მან საკუთარი ტელეფონიდან მსოფლიოს ნომერ პირველ ჩოგანთან, ნოვაკ ჯოკოვიჩთან მიმოწერა გამოაქვეყნა: **„სტაკო, როგორ ხარ, მეგობარო? ფრონტზე იმყოფები? შენზე ვფიქრობ. იმედი მაქვს, ყველაფერი მალე დაწყნარდება. გამაგებინე, როგორ შეიძლება დახმარება გაგიწიო... გინდა, ფინანსური და გინდა, სხვა რამ“.** ამ მიმოწერის სქრინზე, მისი პასუხის ნაწილიც სჩანს: **„ნოლე, დიდ მადლობას გიხდი. კიევში ვარ და ახლა, სიმშვიდეა“.**

სხვათა შორის, სტახოვსკიმ ისიც აღნიშნა, როჯერ ფედერერსა და რაფაელ ნადალსაც ძალიან კარგად ვიცნობ, მაგრამ ჯერჯერობით, არცერთს მოვუკითხივარო. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ნოვაკ ჯოკოვიჩის სამშობლოს მთავრობა ერთ-ერთია იმ იშვიათთაგან, რომელიც რუსეთს ღია მხარდაჭერას პირდაპირ უცხადებს.

სანქციები შეეხოთ პარაოლიმპიელებსაც. ამჯერად, რუსეთი და ბელორუსი პეკინის ზამთრის პარაოლიმპიურ თამაშებს ჩამოაშორეს. საერთაშორისო პარაოლიმპიურმა კომიტეტმა თამაშებამდე ერთი დღით ადრე, რუსეთი და ბელორუსი პარაოლიმპიური თამაშებიდან მოკვეთა. საქმე ის გახლავთ, რომ არაერთმა ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, გუნდმა და სპორტსმენმა რუსებთან და ბელორუსებთან ასპარეზობებზე უარი განაცხადეს, რაც თავის მხრივ, პარაოლიმპიური თამაშების ჩაშლის საფრთხეს ქმნიდა. ითქვა ისიც, რომ ოლიმპიურ სოფელში, რუსებთან და ბელორუსებთან ერთ ჭერქვეშ ყოფნა სხვათა უკმაყოფილებას იწვევდა და დაძაბულ ვითარებას ქმნიდა.

დასასრულ, უკრაინაში, იარაღით ხელში იბრძვის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, უკრაინის სახელით მოასპარეზე გიორგი ზანთარაია. ის წარმოშობით აფხაზეთიდანაა და...

„6 წლის ასაკში, აფხაზეთიდან წამოვედი და ახლა არაფერს აღარ დავთმობ და აღარსად აღარ წავალ. მზად ვარ, ბოლომდე შევაკლა თავი უკრაინას!“

პავპასია

ჩემს გულითად იაკობ დე ბალმენს!

ტარას შევჩენკო
(თარგმნა ამირან ასანიძემ)

ვინ მისცეს თავსა ჩემსა წყალი და თვალთა ჩემთა წყარო ცრემლთა და ვტიროდი დღე და ღამე მოწყლულთა...
იერემია, თავი 9, ქება 1.

ჯანღით შესუდრულა მთების მიღმა მთები -
სისხლით მორწყული და სავსე მწუხარებით.
იქ არწივი ოდითგანვე
სტანჯავს პრომეთეოსს -
დაჰყაშყაშებს კლდეს მიჯაჭვულს,
გულს სძიძგნის და ღრეობს.
სძიძგნის, ღრეობს გმირის სისხლის
ცხელი ნაკადულით,
ამოაშროს – უძლურია
და კვლავ ხარობს გული.
უდრეკია ჩვენი სული,
უკვდავი აქვს ფესვი:
ზღვის ფსკერს ვერვინ ვერ გადახნავს -
იყოს უხარბესიც;
ვერ შებოჭავ ცხოველ სიტყვას,
სულის ცხოველ ძახილს,
და ვერ შერყვნი ღმერთის დიად
და უწმინდეს სახელს.
შენთან პაექრობის ჩვენ სად შეგვწევს ძალა,
ღმერთო, შენგნით შექმნილს, ვერ ვახსენებთ ძვირად!
მაგრამ თვითონ უწყი, არსობის პურს მარად
ჭირის ოფლში რომ ვზელთ, რომ მოვთქვამთ და ვგმინავთ,
თითქოს მხოლოდ ჩვენთვის მოეცალოს ჯალათს –
ჩვენზე ზეობს იგი და ცრემლი გვდის ღვარად,
ხოლო სამართალი მივარდნილა ძილად!
ის კი როდის გაიღვიძებს?!
ზენაარო ნეტავ,
როდის უნდა შეგვეწიო,
ვიტანჯებით! – ხედავ?
გვჯერა შენი ძლიერება,
შენი უკვდავება, -
აღზევდება სამართალი
და ქებათა ქებას
შეგასხამს და განგადიდებს
ერთხმად ყველა ერი...
ჯერ კი დიან მდინარენი!
სისხლის მდინარენი!
ჯანღით შესუდრულა მთების მიღმა მთები -
სისხლით მორწყული და სავსე მწუხარებით.
სწორედ ის მხარე ავავსეთ ძვლებით!
გულმოწყალენი არა ვართ, განა?! -
იქ ჩვენ უმწეო თავისუფლებას
შევუტიეთ და ვაჩვენეთ ძალა:
მარბიელ რაზმთა წყება და წყება
იქ ჩაწვა! სისხლის, ცრემლების ტბორით
გულს დაირწყულებს, ალბათ, გაძღება
ამ ქვეყნის ყველა იმპერატორი!
შიგ რომ ჩაიღრჩონ, კიდეც მორჩებათ
ცრემლი ნადენი რბევით, წამებით,
დედებისა და დების ხელყოფით!...
და ახლა სისხლიც! – სისხლი მამების,
მდინარე რაა, ზღვად აზვირთდება,
მოგიზგიზე ზღვად!.. ვაშა, ვინც მყეფრებს
გეშავს და ასმევს ამ სისხლს – დიდება!
დიდება ვუთხრათ ჩვენს მამა-მეფეს! ვუთხრათ დიდება!
თქვენც დიდება, მყინვარებით
მოჭედილო მთებო!
ღმერთს ახსოვხართ გოლიათო,
ლურჯო რაინდებო,
იბრძოლეთ და გაიმარჯვებთ! –
მხარს აუბით მხარი:
თქვენსკენაა სიმართლე და თვითონ ზენაარი!
არა გვჭირდება სხვისი ჭერი,
არც ლუკმა – შენიც გაკმაყოფილებს,
მასზე ვერავის წაცდება ხელი,
მისთვის ვერავინ დაგდებს ბორკილებს.

ეს თქვენთან!.. ჩვენ კი, განათლებულებს,
საღმრთო წიგნებით აგვიდგამს ენა:
დამწერლობით და სიბრძნით ქებულნი,
ბნელ დილეგიდან მაღალ ტახტამდე
ოქროში ვზივართ... შიშველნი ყველა!
მეცნიერების ავსილვართ ძალით -
ფასად დაგიჯენთ პურსა და მარილს!..
ღვთის შემწეობით რომ შევეთვისეთ
ტაძარს და სკოლას, ახლა ძალიან
გვჭრის თვალს ეგ ქოხი – ბინად რად გიძევთ
ისე, რომ ჩვენ არ გვიმოწყალია!
რატომ არ წაგგლეჯთ და კუთვნილ ლუკმას
რად არ მოგიგდებთ, ვითარცა ძაღლებს!
ხარკი გვაძლიეთ! – ასე გულუხვად
მზე რომ გათბობთ და გაშუქებთ მაღლით...
არა გვინდა რა, ოო, გვებრალებით,
მცირედს ვჯერდებით ქრისტიანები:
დაგვიმეგობრდით... სამაგიეროდ,
უმეცრებსა და ბედით ჩაგრულებს,
მთელ ჩვენ სიკეთეს სულ თქვენ გარგუნებთ:
გელით სამეფო ვრცელი, ძლიერი -
ციმბირს ინებებთ? – გაჩვენებთ ხელად!
ციხეს? – იხილავთ! – მერმედა რამდენს!..
თავის ენაზე მტკიცედ დუმს ყველა,
მოლდოვეთიდან ბალტიის ზღვამდე,
ბედს მომდურავი რამეთუ ჩვენთან
არავინაა!.. წმინდა ხუცესი
გვმოძღვრავს ბიბლიის უწმინდეს წესით,
რომ თურმე მეფემ, მწყემსმაო ღორის
გაწირა მოძმე და მისი ცოლი
ხასად დაისვა: ის მეფე დღესაც
ცაშია! ხედავთ, ვინ აღწევს ზეცას
ჩვენთან და თქვენ კი უწიგნურები
წყვდიადისა ხართ ჯერაც მდგმურები!..

მოდით, გასწავლოთ გაძრობა ტყავის ლაზათიანად,
თუ გსურს სამოთხეს ამოჰყოთ თავი ოჯახიანად!..
ჩვენ რა არ ძალგვიძს: წიწიბურს ვთესავთ,
დავცინით ფრანგებს და ვიკვლევთ ზეცას,
ხან ვყიდით, ხანაც ბანქოში ვაგებთ
ჩვენსავე გლეხებს, განაღა ზანგებს,
ვით ესპანელნი!.. არ ვვაჭრობთ მონით,
უკეთურ საქმეს არ ვჩადით, მგონი -
განა, ნაქურდალს? – კუთვნილ ყმას ვყიდით!..
ჩვენ ღვთით დადგენილ წესსა და კანონს
მივყვებით დიდი კრძალვით და რიდით.
წესსა და კანონს მაგრა იცავთ,
ძმის სიყვარულს ჩემობთ!
ორგულნო და პირფერებო,
ღმერთმა შეგაჩვენოთ!
ძმას ხომ ფიცავთ! – ტყავს გააძრობთ,
მოიხელთეთ თუკი,
რომ იმ ტყავის ფასად ერგოს
თქვენს ქალიშვილს ქურქი,
ცოლს – ქოშები, ბუშს – მზითევი...
თვით კი ხელგაშლილობთ
იმ საქმეში, რაც არ უწყით,
ცოლო, თუნდაც შვილო!
რად ეწამე, ძეო ღვთისავ -
შვებად დაჩაგრულთა?..
ჭეშმარიტი სიკეთისთვის?
თუ დღეის დღეს გსურდა
შენთვის მწარედ დაგვეცინა?..
აჰა, აგისრულდა!
ზე აღავლენ ხატის თვალებს,
სად კელაპტრები ცრემლად დნებიან...
საკურთხეველთან ევედრებიან
შენს წმინდა სახეს – რა გულმხურვალედ! –
შეგვეწიეო, და... ძმას წირავენ! –
მეუფებს კაცთკვლა!.. ძარცვა!.. ხელყოფა!..
ხოლო ნადავლი კვლავ შენს წინარე
მოაქვთ და... კვლავ შენ გთხოვენ შენდობას!!!
ჩვენ გავნათლდით! გვსურს სიკეთის
გადვიხადოთ ვალი –
ახლა სხვები გავანათლოთ,
ავუხილოთ თვალი,
გაგანათლებთ! საკუთარი
თავი დასთმეთ მხოლოდ:
შეგასწავლით ურდულები
როგორ დააყოლოთ
ციხეს! ანდა მათრახს როგორ გამოუსკვნათ ბოლო...
გაგანათლებთ! ოღონდ დასთმეთ
თქვენი ლურჯი მთები!..
ეგღა დარჩა!.. სხვა ჩვენია -
ველებიც და ზღვებიც!
ძმაო, იაკობ, ერთადერთო, შენც გადაგკარგეს,
მაგრამ კეთილო მეგობარო, ვერარა არგე
შენს უკრაინას – სისხლი წმინდა, სისხლი ელვარე
ისევ სამშობლოს ჯალათთათვის, მკვლელთათვის ღვარე:
გასვეს სამსალა მოსკოვური, მოსკოვურ თასით,
დაუვიწყარო მეგობარო, ჩემო ძვირფასო!
მიესალბუნე უკრაინას სულით ცხოველით,
კაზაკებს გაჰყევ – მიაშურეთ დნეპრის ნაპირებს,
თქვენს კურცხალს ელის სამარხების გოჯი ყოველი
და ყორღანებთან ცრემლის დაღვრას რომ დააპირებთ,
მეც მომიგონე – ველს მოაპყარ თვალი სოველი...
მანამდე კი ზრახვა ჩემი,
ნაღველმა რომ ზარდა,
უნდა ვთესო – აბიბინდეს,
ისაუბროს ქართან.
წყნარი ქარი უკრაინის,
განედლებულს ცვარით,
წინ გადგიშლის ფიქრებს ჩემსას...
და მას მეგობარი
ცრემლიან თვალს მიმოავლებ,
გადიკითხავ, ვგონებ...
მოიგონებ ველს, ზღვარს, სამარხს
და მეც მომიგონებ...

ყავა დელიკატესი გახდება?

შვეიცარიელი სწავლულების ახალ კვლევაში ნათქვამია, რომ კლიმატის გამუდმებული ცვლილების შედეგად, უახლოეს მომავალში, ჩვენი პლანეტის ნახევარზე მეტი მიწა ყავის მოსაყვანად უვარგისი გახდება. მაგალითად, ბრაზილიაში, ამ არომატული სასმელის ერთ-ერთ უმსხვილეს მწარმოებელში, ასეთი ტერიტორიების ფართობი 79%-ით შემცირდება. შედეგად, შესაძლოა, ყავა დეფიციტური პროდუქტი გახდეს და ფასიც, შესაბამისად, ძალიან მაღალი ჰქონდეს. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ კლიმატის ცვლილების ამჟამინდელი ტემპების შენარჩუნების შემთხვევაში, არა მხოლოდ ყავის წარმოება შემცირდება, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მატონიზირებელი სასმელია, არამედ, სხვა პოპულარული პროდუქტების მოყვანაც, მაგალითად, ავოკადოსი, რომელიც ტროპიკებში მოჰყავთ. ასე რომ, სულ მალე, შესაძლოა, კარგი ღვინის მსგავსად, ყავაც ნამდვილი დელიკატესი გახდეს გურმანებისთვის, რომლის დაგემოვნებასაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეძლებთ.

ვაქცინა ძვლების შესახორცებლად

ამერიკელმა სწავლულებმა აშშ-ს მაიოს კლინიკიდან, გერმანელ და ჰოლანდიელ კოლეგებთან ერთად, რნმ-მესენჯერის საფუძველზე შექმნეს ვაქცინა, რომელსაც ძვლების შეხორცების სტიმულირება შეუძლია. დაზიანების შემდეგ, ადამიანის ძვლის ქსოვილი ორი მეთოდით აღდგება: სტრომალური უჯრედებიდან (ღეროვანი უჯრედები) პირდაპირი წარმოქმნით, ან ენდოქონდრიალური ოსიფიკაციით ანუ ხრტილის ჩამოყალიბებით, რომელიც შემდეგ გაძვალდება. ამ მექანიზმების მოშლისა და ორგანიზმში სხვა დარღვევების გამო, მოტეხილობები აღარ ხორცდება, რასაც ამპუტაციამდე მივყავართ. ასეთი შემთხვევებისთვის, მკვლევარებმა მკურნალობის ახალი მეთოდი შექმნეს, რომელსაც ძვლის ქსოვილის აღდგენის სტიმულირება შეუძლია. ჯერჯერობით, სწავლულებმა ახალი პრეპარატი მღრღნელებზე დატესტეს, რამაც მაღალი ეფექტურობა და უსაფრთხოება აჩვენა, ერთი დოზის გადასხმის შედეგადაც კი. ამ მიმართულებით კვლევები კვლავ გრძელდება.

სოკოს რობოტი კრეფს

კანადელმა ინჟინერმა რობოტი შექმნა, რომელიც ადამიანზე უკეთ კრეფს სოკოს – უფრო სწრფად და ხარისხიანად. მეჰრად ქერმანის „ჭკვიანი“ მანქანა უკვე მუშაობს ონტარიოში, ერთ-ერთ ფერმაში. რბილი სოკოს მოჭრა რობოტს უფრო აკურატულად, მის დაუზიანებლად შეუძლია. მეტიც, რობოტი ახდენს სოკოს სკანირებას და მის სიმწიფესაც ადგენს. თუ პროდუქტი ჯერ არ მომწიფებულა, რობოტი მონიშნავს და მის მოსაკრეფად მოგვიანებით, საჭირო დროს დაბრუნდება.

ყურძენი დეპრესიას ამარცხებს

სამხრეთ კაროლინის სამედიცინო სკოლის სწავლულებმა კვლევა ჩაატარეს მღრღნელებზე, რომლებიც წინასწარ, სოციალური სტრესის ქვეშ მოაქციეს. სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ რესვერატროლი, რომელსაც წითელი ყურძენი შეიცავს, ორგანიზმში ანთების დონეს აქვეითებს და თაგვებში დეპრესიის განვითარებას უშლის ხელს. სავარაუდოა, რომ სულ მალე, კლინიკური კვლევები დაიწყება იმის დასადგენად, მოქმედებს თუ არა რესვერატროლი ადამიანის ორგანიზმზეც. ადრეულმა კვლევებმა კი უკვე დაადგინა, რომ სწორედ ამ ნაერთის წყალობით, წითელი ღვინო იცავს სისხლძარღვებს დაზიანებისგან და ქოლესტერინის დონესაც ამცირებს. რესვერატროლს სიმსუქნესა და დიაბეტთან ბრძოლაც შეუძლია.

ტრამპის სოციალური ქსელი ამუშავდა

აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის დაარსებული ახალი სოციალური ქსელი Truth Social, შეზღუდული ფორმით, Apple App Store-ზე უკვე ამოქმედდა. „ბი ბი სი“-ს ინფორმაციით, ახალი პლატფორმა App Store-ზე, უფასო აპლიკაციებს შორის, გადმოწერის რაოდენობით ლიდერობს. მომხმარებლები აღნიშნავენ, რომ ჯერჯერობით, აპლიკაცია შეფერხებით მუშაობს, რადგან რეგისტრაციას ვერ ახერხებენ. ახალი სოციალური ქსელის შექმნაზე Trump Media and Technology Group მუშაობდა. პროექტის ხელმძღვანელისა და ყოფილი კონგრესმენის, დევიდ ნუნესის თქმით, აპლიკაცია სრულად, მთელი დატვირთვით, უკვე მარტის ბოლოდან ამუშავდება. დონალდ ტრამპის ოფიციალური გვერდები შარშან დაბლოკეს Twitter-მა, Facebook-მა და Youtube-მა, კაპიტოლიუმის შენობაში დემონსტრანტების შეჭრის შემდეგ. კომპანიები აცხადებენ, რომ ტრამპის პოსტები ძალადობისკენ მოწოდებებს შეიცავდა.

ბატარეა ლიმონისგან დაამზადეს

გინესის რეკორდების წიგნის ოფიციალურ საიტზე ახალი მსოფლიო რეკორდი წარადგინეს – ყველაზე მაღალი ძაბვის (2307.8 ვოლტი) წარმოქმნა ხილის ბატარეით. ამ რეკორდის დასამყარებლად, 2 923 ცალი ლიმონი გამოიყენეს. გაერთიანებული სამეფოს ქიმიური საზოგადოება, გამოქვეყნებულ ვიდეოში, დეტალურად აღწერს, როგორ წარმოიქმნება ელექტრობა და რატომ გამოიყენეს ამ ექსპერიმენტში ლიმონი. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ლიმონის ბატარეის პროტოტიპი შემთხვევით არ დაუმზადებიათ – მას დაბალნახშირბადიანი ენერგიის შესაქმნელად იყენებენ, რაც ასე აუცილებელია თანამედროვე სამყაროსთვის.

პიჯაკი ულვაშებისგან შეკერეს

მამაკაცის პიჯაკი, რომლიც ორიგინალური ქსოვილით – მასში კაცის ულვაშების ჩაწვნით შეკერეს, სპეციალურად Movember-თვის – ყოველწლიური საქველმოქმედო ღონისძიებისთვის შეიქმნა. მისი ავტორები მამაკაცის ტანსაცმლის ავსტრალიური ბრენდი Politix და მხატვარი პამელა კლემან-პასი არიან. მხატვარმა ბამბის ქსოვილში მამაკაცის ულვაშების ღერები ჩააწნა და ის ბრენდის დიზაინერს გადასცა. შედეგად, ამ მასალისგან შეიკერა ერთბორტიანი პიჯაკი, აბრეშუმის სარჩულით. ტანსაცმლისთვის ულვაშისა და წვერის თმა გამოიყენეს, რომელიც ორგანიზაცია Sustainable Salons-მა მიაწოდა – ის სილამაზის სალონებიდან გამოტანილი ნარჩენების გადამუშავებითაა დაკავებული. გარდა ამისა, ბევრმა ავსტრალიელმაც გაუგზავნა საკუთარი ულვაშები მხატვარს, როდესაც ამ პროექტის შესახებ შეიტყვეს. აღნიშნავენ, რომ პიჯაკი მუდმივი გამოყენებისთვის არ გამოდგება და ის მხოლოდ Movember-ის საქველმოქმედო ღონისძიებისთვის შეიქმნა, რომელიც მამაკაცების ჯანმრთელობის პრობლემებს მიეძღვნა.

მწვანე ჩაი კაცებს აჭკვიანებს?

სწავლულებმა დაადგინეს, რომ მწვანე ჩაი მამაკაცის გონებრივ შესაძლებლობებს აუმჯობესებს. კვლევაში ძლიერი სქესის 12 წარმომადგენელი მონაწილეობდა, რომლებსაც დღეში 2 ფინჯანი მწვანე ჩაი უნდა დაელიათ. აღმოჩნდა, რომ მათ, რომლებიც ამ სასმელს მიირთმევდნენ, გაუუმჯობესდათ მეხსიერების შესაძლებლობები და ინფორმაციის აღქმის უნარი. თუმცა მწვანე ჩაი დადებითად მხოლოდ მამაკაცებზე არ მოქმედებს, ის მშვენიერი სქესისთვისაც სასარგებლოა. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ეს სასმელი, ლიმონითა და თაფლით შეზავებული, ხელს უწყობს მკერდის გაზრდას.

მსუქნებს მსუყედ საუზმობას ურჩევენ

ბრიტანელი მედიკოსები ჭარბი წონის მქონე ადამიანებს ურჩევენ, უარი არ თქვან დილით კარგად დანაყრებაზე. დილაობით ჭამა მათ წონას მაშინვე არ შეეტყობა, მაგრამ ამ ადამიანების ფიზიკურ აქტივობასა და დღის განმავლობაში მიღებული საკვების რაოდენობას შეამცირებს. სწავლულები აღნიშნავენ, რომ დილით კარგად საუზმობის დადებითი ეფექტი გამოწვეულია ორგანიზმის ინდივიდუალური თვისებებით (ფიზიკური მდგომარეობითა და სხეულის მასით), ასევე საკვების ხარისხითაც. მომავალში მკვლევარები საუზმის ოპტიმალური მენიუს განსაზღვრაზე აპირებენ მუშაობას.

ქალს უნიკალური მეხსიერება აქვს

ცოტა ხნის წინ, ბევრმა სამედიცინო გამოცემამ გამოაქვეყნა სტატია ქალზე, რომელსაც ტვინის მოქმედების განსაკუთრებული დარღვევები აღენიშნება. ავსტრალიელ რებეკა შეროკს მედიკოსებმა უიშვიათესი დაავადების – ჰიპერთიმეზიის დიაგნოზი დაუსვეს. ამ სენის „წყალობით“, მას განსაკუთრებული ავტობიოგრაფიული მეხსიერება აქვს. რებეკას ტვინი იმით განსხვავდება, რომ ის სულ სხვაგვარად მუშაობს – ქალს არ ავიწყდება არც ერთი მოვლენა, ძალიან უმნიშვნელოც კი, რასაც ჩვეულებრივ, ადამიანები ვერც კი იმახსოვრებენ ხოლმე, რადგან ასეთი წვრილმანები უმნიშვნელოა. ამ ავსტრალიელს კი, უბრალოდ თვალმოკრული სახეები, საგნები, შემთხვევით წაკითხული ტექსტი და დანახული ციფრებიც კი შესანიშნავად ახსოვს, თანაც, ფოტოგრაფიული მეხსიერებით.

რებეკას მისი ცხოვრებიდან ყველაფერი ახსოვს – ნაადრევი ბავშვობიდან და რაც მთავარია, თარიღებით. სპეციალისტები ამბობენ, რომ ასეთი ფემომენი იშვიათია და ამ მომენტისთვის მსგავსი მეხსიერება მსოფლიოში მხოლოდ 80 ადამიანს დაუდგინდა. მათ ტვინს, უბრალოდ, არ შეუძლია, თავიდან მოიშოროს უსარგებლო ინფორმაცია, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, ხოლმე. ამ ფენომენის მფლობელებისთვის ეს საკმაოდ მძიმე ტვირთია, რადგან მათ არ შეუძლიათ წაშალონ მეხსიერებიდან ცუდი მოგონებები, უსიამოვნებები, ახლობლის დაკარგვის ტკივილი და სხვა.

დღეგრძელობის მიზეზი დაადგინეს

შვედმა მეცნიერებმა დაასრულეს კვლევაზე მუშაობა, რომელიც 50 წელიწადზე მეტხანს გრძელდებოდა. სწავლულები იმ 855 ადამიანის ცხოვრების წესსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას აკვირდებოდნენ, რომლებიც გეტებორგში, 1913 წელს დაიბადნენ. სამუშაოს დასრულების შემდეგ, მკვლევარებმა რამდენიმე რეკომენდაცია მოამზადეს მათთვის, რომლებსაც სურთ გაიმეორონ ექსპერიმენტის მონაწილეების მიღწევა და 100 წლამდე და მეტხანს იცოცხლონ. სწავლულები ამტკიცებენ, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობაზე ყველაზე მეტად მოქმედებს ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 50 წლის ასაკში (თუ ამ დროისთვის ხერხდება ცხოვრების კარგი პირობების შექმნა, ეს მნიშვნელოვნად ზრდის სიცოცხლის წლებს), გენეტიკური მიდრეკილება დღეგრძელობისკენ დედის მხრიდან, სისხლში ქოლესტერინის ნორმალური დონე და მოწევაზე უარის თქმა. ვისაც დიდხანს სიცოცხლე სურს, მეცნიერები ურჩევენ, დღეში ოთხ ფინჯანზე მეტი ყავა არ დალიონ.

გრიპის უნიკალური ვაქცინა შექმნეს

აშშ-ს ვაშინგტონის უნივერსიტეტის მეცნიერები მღრღნელებზე სცდიან ძლიერ პრეპარატს, რომელიც გრიპის ყველა შტამს შეებრძოლება. მკვლევართა მონაცემებით, მედიკოსები, დაავადების პროფიოლაქტიკისთვის, დამატებით შეღავათებს მიიღებენ. ექსპერიმენტებისას, დაავადებულ თაგვებს აძლევდნენ ახალ პრეპარატს და როგორც აღმოჩნდა, ყველა მათგანი გაუმკლავდა ვირუსს ისე, რომ წონაშიც კი არ დაუკლიათ. ჯერჯერობით, ახალი პრეპარატი HB36.6-ის სახელითაა ცნობილი. სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ წამალი ეფექტურად იმოქმედებს ადამიანებზეც, რაც საშუალებას მოგვცემს, გრიპის გავრცელება შეჩერდეს, დაცულები იყვნენ ბავშვები, მოხუცები და ისინი, რომლებსაც სუსტი იმუნიტეტი აქვს.

ბევრი შაქარი ტვინს ანადგურებს

დიდი რაოდენობით შაქრის მოხმარება ტვინს ანადგურებს, - ამის შესახებ ავსტრალიელმა სწავლულებმა განაცხადეს. მათ ექსპერიმენტეი ჩაატარეს ლაბორატორიულ მღრღნელებზე, რომლებიც სამ ჯგუფად დაყვეს. პირველი ჯგუფის წევრებს საკვებში დიდი რაოდენობით შაქრის სიროფს უმატებდნენ, მეორეს არ აძლევდნენ შაქარს და მუდმივად სტრესულ სიტუაციაში ამყოფებდნენ, ხოლო მესამე ჯგუფის თაგვები ტკბილსაც იღებდნენ და თან სტრესის ქვეშაც იყვნენ. რამდენიმე კვირის შემდეგ, პირველი და მეორე ჯგუფის ცხოველების ტვინში გარკვეული ცვლილებები დააფიქსირეს. მესამეს კი ცენტრალური ნერვული სისტემის დეგენერაცია დაუდგინდა და ამან მათ ფიზიოლოგიაზეც იმოქმედა. მკვლევარები ასკვნიან, რომ საკვებში დიდი რაოდენობით შაქრის არსებობა სტრესივით მოქმედებს და სისხლში შესაბამისი ჰორმონების რაოდენობას ზრდის. ამის შედეგად, ხშირდება გულისცემა, ხოლო ტვინს გაძლიერებული რეჟიმით უწევს მუშაობა, რაც საბოლოოდ, ნერვული უჯრედების დაშლას იწვევს.

მწეველებს სიბრმავე ემუქრება?!

სპეციალისტების თქმით, ამჟამად, სიგარეტი მხედველობის დაკარგვის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ხდება, თუმცა ამის შესახებ ადამიანთა მხოლოდ 10-20%-მა თუ იცის. არადა, მოწევა ზრდის თვალის ასაკობრივი დეგენერაციის, კატარაქტის, გლაუკომას, დიაბეტური რეტინოპათიისა და „მშრალი თვალის“ სინდრომის რისკებს. სწავლულთა კვლევებმა აჩვენა, რომ მწეველებში თვალის ასაკობრივი დეგენერაციის ალბათობა სამი-ოთხჯერ იზრდება, პასიურ მწეველებში კი რისკი ორჯერ მატულობს. აღსანიშნავია, რომ ასაკობრივი დეგენერაცია ცენტრალური მხედველობის დაკარგვას იწვევს - მისი მშრალი ფორმისას, იშლება ბადურას ცენტრი, სველი დეგენერაციისას კი ბადურას ქვეშ სისხლძარღვების შევიწროება ხდება. სამწუხაროდ, მოწევასთან დაკავშირებული მხედველობის დარღვევა დიდი ხნის განმავლობაში უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ექსპერტები აცხადებენ, რომ ადამიანებს, რომლებიც დღეში 10 ღერს ეწევიან, კატარაქტის რისკი სამჯერ ეზრდებათ. გარდა ამისა, დადგენილია მჭიდრო კავშირი გლაუკომასა და მოწევას შორის.

უსახლკაროებს ღამის გასათევი შეუქმნეს

გერმანელმა არქიტექტორმა უსახლკაროებისთვის მსოფლიოში ყველაზე პატარა სახლი შექმნა. მისი ფართობი მხოლოდ 1 კვადრატულ მეტრს შეადგენს და იქ ღამის გათევა 1 დოლარი ღირს. როგორც სიახლის ავტორი აცხადებს, სურს, ასეთი ღამის გასათევები არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში - მუმბაიში, ნიუ-იორკსა და სხვა დიდ ქალაქებშიც შექმნას. სახლს აქვს კარიც და ფანჯარაც, ასევე მოჰყვება ერთი სკამი. ამ პატარა ფართობზე საწოლიცაა, თუმცა მის გამოსაყენებლად, სახლის ამოყირავებაა საჭირო. საწოლის მაგივრობას მატრასი გაგიწევთ, რომელიც კედელზეა მიმაგრებული და ამობრუნების შემთხვევაში, იატაკზე გაიშლება. სახლი იმითაცაა უნიკალური, რომ მის მფლობელს, მასთან ერთად მოგზაურობა შეუძლია. ღამის გასათევი ძალიან მსუბუქია და მისი გადაადგილება სირთულეს არ წარმოადგენს. ასეთი სახლის შეძენა მსურველს კომპანია BMW Guggenheim Lab-გან, 300 დოლარად შეუძლია.

ვის აქვს ყველაზე გრძელი გვარი



ასეთი ადამიანი გერმანიაში აღმოაჩინეს - ეს ბერნდ ოტოვოდრემგენტშენფელდია. მისი გვარის გერმანულად დასაწერად 24 ასოს გამოყენებაა საჭირო. ეს 45 წლის მამაკაცი რაინის მხარეში ცხოვრობს. ის აღიარებს, რომ ხშირად აწყდება პრობლემებს, როდესაც რომელიმე საბუთის ბლანკში მისი გვარის ჩაწერა ხდება საჭირო. „არადა, ჩემთვის მეორე სახელის დარქმევაც უნდოდათ, მაგრამ დედა იყო წინააღმდეგი და გადავრჩი“, - ღიმილით აცხადებს ბერნდი.

მისმა მეუღლემ და ქალიშვილმა, გრძელი გვარის გამო წარმოქმნილი უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, ის გენტშემნფელდამდე შეამცირეს. გრძელი გვარის მქონე ადამიანებს ყველგან სერიოზული პრობლემები ექმნებათ, ხოლმე. ასე, მაგალითად, შრილანკელ სტუდენტს, რომელიც დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს და შვებულების გატარება კვიპროსზე დაგეგმა, ტურისტული ფირმის თანამშრომლებმა უარი უთხრეს განაცხადის გაფორმებაზე - ანკეტაში ასეთი გრძელი გვარ-სახელისთვის ადგილი არ არისო.

ქათმები ჰიპოალერგენულ კვერცხებს დებენ

იაპონელმა ბიოლოგებმა, ეროვნული ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან, ქათმების ახალი სახეობა გამოიყვანეს, რომელთა მიერ დადებული კვერცხი ალერგიას არ იწვევს. ამ ფრინველებს არ აქვთ გენი, რომელიც ალერგიულ რეაქციებს იწვევს ხორცის ან კვერცხის მოხმარებისას. სწავლულებმა ქათმებში გენომური რედაქტირების მეთოდი გამოიყენეს - მათ მოაშორეს გენი, რომელიც კვერცხის ცილაში ალერგენის - ოვომუკოიდის წარმოქნას იწვევს. ადამიანები, რომლებიც ამ გენის მიმართ მგრძნობიარეები არიან, უმრავლეს შემთხვევაში, ნეგატიური შედეგების გარეშე ვერ მიირთმევენ ვერც კვერცხს და ვერც ქათმის ხორცს. უახლოეს პერიოდში, სწავლულები კლინიკურ ცდებს ჩაატარებენ იმ პაციენტებზე, რომელთაც ალერგია აქვთ ამ პროდუქტებზე.

ახალდაქორწინებულ ტყუპებს გარეგნობას შეუცვლიან

ერთმანეთი რომ არ აერიოთ, ოთხივემ გადაწყვიტა, პლასტიკურ ქირურგიას მიმართონ. ეს ისტორია ქორწინებიდან ორი თვის შემდეგ დაიწყო, როცა გაირკვა, რომ ტყუპი ცოლ-ქმარი სტუმრად თუ სხვადასხვა ადგილას, სხვის მეორე ნახევართან ერთად წავიდა. ვიდრე ჯერ კიდევ ყველაფერი უბრალო თამაშს ჰგავდა და მომავალში, შემთხვევით, „ზღვარი“ არ გადაელახათ, წყვილებმა გადაწყვიტეს, საკუთარი გარეგნობის შეცვლაზე ეზრუნათ. ტყუპი დები და მათი მომავალი მეუღლეები - ტყუპი ძმები ჩინეთში, შანსიის პროვინციაში, ერთმანეთის მეზობლად მდებარე სოფლებში დაიბადნენ და გაიზარდნენ. გარდა წარმოუდგენელი მსგავსებისა, ტყუპებს ხმა და მიმიკაც კი ერთნაირი აქვთ. ახალდაქორწინებულების თქმით, მათ საკუთარი ოჯახის წევრები და მეგობრებიც კი ვერ არჩევენ. პლასტიკურმა ქირურგებმა შეყვარებულ წყვილებს უფასო დახმარება აღუთქვეს. მედიკოსებთან კონსულტაციების შემდეგ, გადაწყვიტეს, ცხვირის ფორმა და შუბლი შეიცვალონ.

პროდუქტები, რომლებიც თავს გვატკიებენ



ტრადიციულად, ადამიანებს სჩვევიათ, თავის ტკივილი ამინდს, უძილობას ან დაღლილობას დაუკავშირონ. თუმცა, ყველაზე ხშირად, სწავლულების აზრით, ამის მიზეზი მირთმეული პროდუქტებია. სწორედ ისინი წარმოადგენენ ყველაზე უფრო გავრცელებულ ფაქტორებს, რაც თავის ტკივილს იწვევს და ამას ცოტა ხნის წინ ჩატარებული კვლევებიც ადასტურებენ. თუ მოულოდნელად, „უმიზეზოდ“, „არაფრის გამო“ თავი აგტკივდათ, უმჯობესია, კვების რაციონის კორექტირება, - აცხადებს ამერიკელი ნევროლოგი, სეიმურ სოლომონი. პირველ რიგში, ტკივილზე პასუხისმგებელია ალკოჰოლური სასმელი, განსაკუთრებით ლუდი და წითელი ღვინო. მათში არსებული ჰისტამინი ჩვენი იმუნიტეტის სტიმულირებას ახდენს, მაგრამ ამავდროულად, სისხლძაღვებზე ისე მოქმედებს, რომ თავის ტკივილს ვგრძნობთ. კიდევ ერთი, მეტად გავრცელებული ვარიანტია თავის ტკივილი კოფეინის გამო. ბევრ ადამიანს დილით ძილისგან კარგად გამოფხიზლება ფინჯანი ყავის გარეშე ვერ წარმოუდგენია და მერეც, მთელი დღის განმავლობაში, თავს ამ არომატული სასმელით იმხნევებს. თუ ბევრ ყავას მიირთმევთ და გაუგებარი მიზეზების გამო, თავის ტკივილი გაწუხებთ, სჯობს, ყავის რაოდენობა შეამციროთ.

ამის შემდეგ მოდის სხვადასხვა ხორც-პროდუქტები: სოსისები, შაშხი, ძეხვი და მისთანები. როგორც წესი, მათში ამატებენ ნიტრიტს (საუკეთესო ფერის - ვარდისფერი შეფერილობის მისაღებად), რომელიც პირდაპირი გზაა თავის ტკივილისკენ. არც ისე ცოტა ნიტრიტებს შეიცავს „ფასტ-ფუდის“ კერძებიც. აშშ-ში სპეციალური ტერმინიც კი გაჩნდა - Hotdog Headache - მიირთვი ჰოთდოგი და თავის ტკივილი გარანტირებული გექნებაო. ზოგიერთ შემთხვევაში, თავის ტკივილს იწვევს მიწის თხილი, პომიდორი, ყველის ზოგიერთი სახეობა, შოკოლადი, ფქვილი და რძეც კი - საქმე ის არის, რომ ყველა მათგანი შეიცავს ამინებს, მათ შორის, ტირამინსაც. თავის ტკივილის რისკის ჯგუფში შედიან აღმოსავლური სამზარეულოს მოყვარულები. აღმოსავლურ კერძებში დიდი რაოდენობით საკმაზებსა და სუნელებს იყენებენ. ბევრი მათგანი ისეთ დანამატს შეიცავს, როგორიც მონონატრიუმის გლუტამატია. სწავლულებმა გაარკვიეს, რომ მოსახლეობის 10-20% თავის ტკივილს უჩივის, რაც ჭამიდან 15 წუთის შემდეგ იწყება და რასაც თან ახლავს საფეთქლებსა და შუბლზე ფეთქვის უსიამოვნო შეგრძნებები.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.